www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | პარასკევი, 5 ოქტომბერი, 2012 წელი. | №3128 (221) | ფასი 50 თეთრი

დაძაბულობა საბოლოო შედეგის დადგენამდე

დათო გამისონია

რიჩარდ ნოლანდი ზუგდიდში

რამდენიმე საოლქო საარჩევნო კომისიის შენობასთან საპროტესტო აქციები არ წყდება. საერთაშორისო ორგანიზაციების შემდეგ, "ქართული ოცნების" აქტივისტებს დაშლისკენ გამარჯვებული კოალიციის ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმაც მოუწოდა. **"დღეს ჩვენ ოპოზიციაში აღარ ვართ, ხელისუფლებას წარმოვადგენთ და ქუჩებში, როგორც წესი, ოპოზიცია გამოდის.**

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

მწვავე დებატების პირველი რაუნდი

ტელედებატები: "დაიპყარი ამერიკა საათ-ნახევარში"

ხათუნა გაბიევი

ამერიკის შეერთებულ შტატებში საპრეზიდენტო არჩევნებამდე 32 დღე რჩება, პირველი და გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე დებატები კი დენვერის უნივერსიტეტში უკვე გაიმართა. ერთმანეთს სიტყვიერ ბატალიებში მოქმედი პრეზიდენტი და დემოკრატიული პარტიის კანდიდატი ბარაკ ობამა და რესპუბლიკელი მიტ რომნი დაუპირისპირდნენ.

გაგრძელება
მე-6 გვერდზე

ბიძინა ივანიშვილი საქართველოს დატოვებას არ აპირებს

"ქართული ოცნების" ლიდერ ბიძინა ივანიშვილს, რომელიც საფრანგეთის მოქალაქეა, დღეს საქართველოში ყოფნის 360-დღიანი ვადა ეწურება.

ბიძინა ივანიშვილს, როგორც ევროკავშირის წევრი ქვეყნის - საფრანგეთის მოქალაქეს საქართველოში ყოფნის 360-დღიანი ვადა დღეს ამოეწურება. შესაბამისად, მან საქართველოს ტერიტორია უნდა დატოვოს.

თუმცა, როგორც ბიძინა ივანიშვილის ადვოკატი არჩილ კბილაშვილი ამბობს, ვადის გადაცდომის შემთხვევაში ივანიშვილის წინააღმდეგ რაიმე სამართლებრივი შედეგი არ დადგება.

"ფორმალურად ასეა: ევროკავშირის წევრი ქვეყნის მოქალაქემ, რომელიც საქართველოში 360 დღის განმავლობაში იმყოფება, უნდა დატოვოს ქვეყნის ტერიტორია და შემდეგ უკან შემოვიდეს. ბიძინა ივანიშვილს საქართველოს მოქალაქეობა 11 ოქტომბერს გაუუქმდა, შესაბამისად, 360 დღე 5 ოქტომბერს იწურება, მაგრამ მის მიმართ რაიმე სამართლებრივი შედეგი ვერ დადგება, რადგან, ჯერ ერთი მისი ოჯახის წევრები საქართველოს მოქალაქეები არიან, აქ ცხოვრობენ და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და სტრასბურგის სასამართლოს პრეცენდენტული სამართლის მიხედვით, ასეთ შემთხვევაში, დაუშვებელია პირის ქვეყნიდან გაძევება.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

თურქეთი სირიას სამხედრო ოპერაციებით ემუქრება

სირიიდან ნასროლი რაკეტით დანგრეული სახლი თურქეთში

ივა შილაკაძე

თურქეთმა და ნატო-მ უპასუხოდ აღარ დატოვეს საზღვრისპირა ინციდენტი სირიასთან, რომელსაც გუშინწინ თურქეთის მოქალაქეები შეეწირნენ. გუშინ თურქეთის არტილერიამ საპასუხო დარტყმა განახორციელა სირიის ტერიტორიაზე. ამ სახელმწიფოს მომავალში განსაკუთრებული სიფრთხილის გამოჩენა მოუწევს, წინააღმდეგ შემთხვევაში უკვე შეიძლება გაჩნდეს გარედან სამხედრო ჩარევის რეალური მიზეზი.

გაგრძელება
მე-5 გვერდზე

1 აშშ დოლარი	1.6606⇓
1 ევრო	2.0826⇓
1 ინგლისური გირვანქა	2.6294⇓
1 თურქული ლირა	0.9089⇓
100 რუსული რუბლი	5.1422⇓

თბილისი	28°C - 19°C
ქუთაისი	27°C - 18°C
თელავი	28°C - 14°C
ზუგდიდი	27°C - 18°C
ბათუმი	24°C - 19°C

ნავთობი	3.17	+0.04	+1.25%
გაზი	2.79	+0.04	+1.40%
ოქრო	1,689.30	+32.20	+1.91%
ხორბალი	890.50	-12.50	-1.40%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
FM 102.4
ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA

ISSN 1987 9121

მაიკლ ჯორდანი: "ყოველთვის სხვებზე მეტად გამაკრიტიკებენ"

NBA-ს კლუბ "შარლოტის" მფლობელმა, ყველა დროის საუკეთესო კალათბურთელმა მაიკლ ჯორდანმა, ჩაგდებული სეზონის შემდეგ მცირე პაუზა დაიჭირა და მხოლოდ ამის შემდეგ შეხვდა ჟურნალისტებს. ამერიკულ მედიაში გამოქვეყნებულ ინტერვიუში მაიკლი "ბობკეტსის" მმართველობაზე, მისი მისამართით არსებულ კრიტიკაზე და ლებრონის ჩემპიონობაზე საუბრობს.

- თქვენი გაკრიტიკების შანსს პრესა, არც ადრე უშვებდა ხელიდან, თქვენ, როგორც "ბობკეტსის" მფლობელს კრიტიკა არასდროს გაკლდათ, თუმცა მას შემდეგ, რაც თქვენმა გუნდმა სეზონი ყველაზე უარესი შედეგით დაასრულა კრიტიკის ქარცეცხლი დაგატყდათ. იყავით, თუ არა ამისთვის მზად?

- რა თქმა უნდა. მე ყოველთვის სხვა კრიტერიუმებით შემაფასებენ. როგორც გამარჯვების, ასევე მარცხის შემთხვევაში. მე უნდა შევეგუო იმ რეალობას, რომ ყოველთვის სხვებზე მეტად გამაკრიტიკებენ.

- არსებობს კიდევ მარკ კიუბანი (კლუბ "დალასის" მფლობელი), NBA-ში, ალბათ, ყველაზე ექსცენტრიული ადამიანი, კრიტიკა არც მას აკლია. "ლეიკერსის" მფლობელი ჯერი ბასუ ცდილობს მუდმივად მშვიდი იყოს, თუმცა მედია, არც მას ინდობს.

გაგრძელება
მე-10 გვერდზე

პროვინციალიზმის რევრეზენტაცია

სალომე შენგელიძე

მსმენელი ეროვნულ ბიბლიოთეკაში

დღეს განსაკუთრებით აქტუალური გახდა მსჯელობა ქართული საზოგადოების ნებით შემოსაზღვრულ ჩაკეტილ სივრცეზე, წრეზე და პასუხისმგებლობაზე, რომელიც საზოგადოებასვე აკისრია. დაახლოებით ერთი წლის წინ ფილოსოფოსი გიორგი მაისურაძე თავს უყრის ესეებს და გამოსცემს წიგნს (რომელიც შემდეგ ლიტერატურულ პრემია "საბას" იღებს ნომინაციაში "წლის ესეისტიკა") სათაურით "ჩაკეტილი საზოგადოება და მისი დარაჯები."

გაგრძელება
მე-8 გვერდზე

მიხეილ სააკაშვილი უცხოელ დიპლომატებს შეხვდა

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გუშინ ევროკავშირისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები მიიღო.

პრეზიდენტის ადმინისტრაციის ცნობით, შეხვედრის მთავარი თემა ქვეყანაში გამართული საპარლამენტო არჩევნები იყო.

როგორც პრეზიდენტის ადმინისტრაციაში აცხადებენ, ევროკავშირის ელჩ ფილიპ დიმიტროვის, სამხრეთ კავკასიასა და საქართველოში კრიზისის საკითხებში ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის ფილიპ ლეფორისა და ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელ ანდჯეი ტიშკევიჩის შეფასებით, არჩევნები, ისევე როგორც საარჩევნო პროცესი, წარმატებით დასრულდა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ ქვეყანა დემოკრატიულ კურსს ინარჩუნებს.

როგორც ევროპელმა დიპლომატებმა აღნიშნეს, 1 ოქტომბერს ქართველმა ხალხმა შეძლო თავისუფალი აზრის გამოხატვა და ხელისუფლებამ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ დემოკრატიის, თავისუფლებისა და ევროპული ღირებულებების ერთგულია.

შეხვედრისას ევროკავშირისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებმა კიდევ ერთხელ განაცხადეს, რომ ხმის დათვლის პროცესიც დემოკრატიულ და გამჭვირვალე ვითარებაში უნდა წარიმართოს და ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მუშაობა მშვიდ გარემოში, ყოველგვარი პოლიტიკური ზეწოლისა და ექსცესების გარეშე შეძლოს. ამავდროულად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ გარდამავალმა პერიოდმა კონსტიტუციისა და კანონიერების სრული დაცვით ჩაიაროს და კვლავაც გაგრძელდეს ევროპული ინტეგრაციის კურსი.

გუშინვე მიხეილ სააკაშვილმა გერმანიის წარმომადგენლობითი დელეგაცია მიიღო, რომელსაც ბუნდესტაგის თავმჯდომარის მოადგილე ვოლფგანგ ტირზე ხელმძღვანელობს. პრეზიდენტის ადმინისტრაციის ინფორმაციით, გერმანელმა კანონმდებლებმა საქართველოში გამართული საპარლამენტო არჩევნების პროცესი შეაფასეს და აღნიშნეს, რომ საქართველომ და ქვეყნის ხელისუფლებამ კიდევ ერთხელ დაადასტურეს მმართველობის დემოკრატიული კურსი. ვოლფგანგ ტირზეს განცხადებით, 1-ლი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები დემოკრატიულობის მაღალი ხარისხით გამოირჩეოდა.

"საუბრისას მხარეებმა ყურადღება საქართველოსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის არსებულ პარტნიორულ ურთიერთობაზე გაამახვილეს და თანამშრომლობის გაგრძელების აუცილებლობაზეც იმსჯელეს. გარდა ამისა, მათ რეგიონული და საერთაშორისო საკითხებიც განიხილეს. დასასრულს, დელეგაციის წარმომადგენლებმა კიდევ ერთხელ გამოხატეს გერმანიის მტკიცე მხარდაჭერა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მიმართ," - აღნიშნულია პრეზიდენტის ადმინისტრაციის ინფორმაციაში.

გიგა ბოკერია: საჭიროა დიალოგი და ამისთვის მზად ვართ

კოალიცია "ქართულ ოცნებასთან" დიალოგის ჯგუფში დავით ბაქრაძე, გიგი უგულავა, პავლე კუბლაშვილი და გიგა ბოკერია შევლენ.

როგორც უშიშროების საბჭოს მდივანმა გუშინდელ პრესკონფერენციაზე თქვა, არჩევნების დასრულებისთანავე საქართველოს პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ყველაფერი გაკეთდება იმისთვის, რათა პროცესი მშვიდობიანად და შეუფერხებლად წარიმართოს. გიგა ბოკერიას განმარტებით, ამისთვის საჭიროა დიალოგი და ისინი ამ დიალოგისთვის მზად არიან.

"იმ ჯგუფში, რომელიც არჩევნებში გამარჯვებულ პოლიტიკურ ძალასთან დიალოგს წარმართავს, ჩვენი მხრიდან შევლენ დავით ბაქრაძე, გიგი უგულავა, პავლე კუბლაშვილი და მე. ვიმედოვნებ, ეს დიალოგი უახლოეს მომავალში დაიწყება და კარგად დასრულდება," - აღნიშნა გიგა ბოკერიამ.

მისივე თქმით, ეს არის პირველი პრეცედენტი, როდესაც არჩევნებში ოპოზიციურმა ძალამ გაიმარჯვა და ის მალე მთავრობასაც დააკომპლექტებს.

"ის, თუ როგორ ჩაივლის ეს პროცესი, იქონიებს გავლენას ჩვენი ქვეყნის მომავალი დემოკრატიული ტრადიციის ჩამოყალიბებაზე და შემდეგი თაობების დემოკრატიულ, თავისუფალ ქვეყანაში ცხოვრებაზე. ეს ასევე გავლენას მოახდენს ჩვენს უსაფრთხოებაზე, მომავალ ინტეგრაციაზე ევროატლანტიკურ სივრცეში, ნატო-ში განევრიანებაზე. თუ ის ხალხი, ვინც არჩევნებში ქართველი ხალხის მანდატი მოიპოვა, გულწრფელია, ეს ამოცანა შესრულებული იქნება," - აღნიშნა გიგა ბოკერიამ.

მოქმედ ხელისუფლებასთან საკონსულტაციო ჯგუფი "ქართულმა ოცნებამაც" ჩამოაყალიბა. მათი მხრიდან აღნიშნული ჯგუფის შემადგენლობაში შედიან ირაკლი ალასანია, დავით უსუფაშვილი და ირაკლი ღარიბაშვილი.

განცხადება

ი. ბ. ა. ამხანაგობა "დიდგორი-2006"-ის ამხანაგობის წევრთა საერთო კრება ჩატარდება 07. 10. 2012 წელს, კვირას, 12 საათზე. მისამართი: ქ. თბილისი, დიდი დიღომი, პეტრე იბერის ქ. №5.

გამგეობა

თითქმის დათვლილი არჩევნების შედეგები

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ თითქმის დაასრულა არჩევნების შედეგების დათვლა. 3766 უბნიდან სადავოა მხოლოდ იმ ორი ოლქის - სიღნაღის და ხულოს თითო-თითო უბნის მონაცემები, რომლებიც ცესკო-მ გუშინ გააუქმა. ამ უბნებზე შესაძლოა, ხელახალი არჩევნებიც დაინიშნოს.

4 ოქტომბრის ოფიციალური მონაცემებით, 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში პროპორციული წესით "ბიძინა ივანიშვილი - ქართულ ოცნებას" ხმა მისცა საქართველოს 1 184 593-მა მოქალაქემ ანუ ამომრჩეველთა 54.88 პროცენტმა, ხოლო "ნაციონალურ მოძრაობას - მეტი სარგებელი ხალს" მხარი დაუჭირა 871 725-მა ამომრჩეველმა, რაც ხმების საერთო რაოდენობის 40. 39 პროცენტია.

პროპორციული წესით "ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ - მეტი სარგებელი ხალხს" გამარჯვება მოიპოვა:

გურჯაანში (49.33); ლაგოდეხში (55.81); ყვარელში (49.39); გარდაბანში (55.51); მარნეულში (78.68); ბოლნისში 66.98); დმანისში (68.89); წალკაში (67.84); ახალციხეში (75.75); ადიგენში (69.87); ახალქალაქში (76.61); ნონოწმინდაში (79.66); ასპინძაში (71.43); ცაგერში (54.07); ლენტეხში (53.55); თერჯოლაში (47.63); ვანში (58.77); ხონში (48,4); წყალტუბოში (52.12); აბაშაში (56.65); სენაკში (55.88); მარტვილში (53.24); ხობში (56.49); წალენჯიხაში (62.61); ჩხოროწყუში (57.91); ზუგდიდში (61.17); ქედაში (48.14); შუახევში (61.51); ხულოში (58.46).

კოალიციამ "ბიძინა იანიშვილი - ქართულმა ოცნებამ" უბნების მიხედვით ხმათა უმრავლესობა მიიღო შემდეგ ოლქებში:

მთაწმინდა (62.56); ვაკე (71.78); საბურთალო (70.64); კრწანისი (58.46); ისანი (64.56); სამგორი (65.5); ჩუღურეთი (68.39); დიდუბე (70.39); ნაძალადევი (72.61); გლდანი (70.05); საგარეჯო (57.14); თელავი (49.37); სიღნაღი (49.07); დედოფლისწყარო (49.17) ახმეტა (51,58); თიანეთი (58.56); რუსთავი (56.34); თეთრიწყარო (50.79); მცხეთა (62.64); დუშეთი (63.9); ყაზბეგი (70.35); კასპი (56.81); ქარელი (54); ბორჯომი (63.33); ონი (53.15); ამბროლაური (50.49); მესტია (50.99); ხარაგაული (51.2); საჩხერე (93.43); ზესტაფონი (60.08); ბაღდათი (49); სამტრედია (54.95); ჭიათურა (75.06); ქუთაისი (57.37); ოზურგეთი (59.5); ლანჩხუთი (61.45); ჩოხატაური (52,43); ფოთი (58.57); ბათუმი (65.54); ქობულეთი (56.73); ხელვაჩაური (63.82).

საზღვარგარეთიდან შემოსული ხმები ასე გადანაწილდა: "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - მეტი სარგებელი ხალხს" - 41.82 პროცენტი: "ბიძინა ივანიშვილი - ქართული ოცნება" - 53.44 პროცენტი.

რაც შეეხება მაჟორიტარული წესით არჩეულ დეპუტატობის კანდიდატებს, მდგომარეობა ასეთია:

"ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" კანდიდატები წარმოდგენილნი იქნებიან შემდეგი რაიონებიდან:

გურჯაანი - გიორგი ღვინიაშვილი; სიღნაღი - ლევან ბეჟაშვილი (აქ ერთი უბნის მონაცემები გაუქმებულია და შეიძლება შედეგი შეიცვალოს); დედოფლისწყარო - ზაზა კედელაშვილი; ლაგოდეხი - გიორგი გოზალიშვილი; ყვარელი - მარიკა ვერულაშვილი; გარდაბანი - გიორგი ფეიქრიშვილი; მარნეული - აზერ სულეიმანოვი; ბოლნისი - კობა ნაყოფია; დმანისი - კახაბერ ოქრუაშვილი; წალკა - რევაზ შავლოხაშვილი; ხაშირი - სერგო ქიტიაშვილი; ახალციხე - ვაჯა ჩიტაშვილი; ადიგენი - ზურაბ ჩილინგარაშვილი; ახალქალაქი - სამველ პეტროსიანი, ასპინძა - ტარიელ ლონდარიძე; ნინოწმინდა - ენზელ მკოიანი; ამბროლაური - გოჩა ენუქიძე; ცაგერი - სერგო ხაბულიანი; ლენტეხი - გიორგი ლიპარტელიანი; თერჯოლა - კახა ბუცხრიკიძე; ვანი - პაატა ლეჟავა; ხონი - დავით ჭავჭანიძე; წყალტუბო - აკაკი ბობოხიძე; აბაშა - დავით დარცმელიძე; სენაკი - გურამ მისაბიშვილი; მარტვილი - ნაული ჯანაშია; ხობი - გოდერძი ბუკია; წალენჯიხა - ლევან ქარდავა; ჩხოროწყუ - ვახტანგ ლემონჯავა; ზუგდიდი - როლანდ ახალაია; ქედა - იაშა შერვაშიძე; შუახევი - ომარ მეგრელიძე; ხულო - ანზორ ბოლქვაძე.

საკანონმდებლო ორგანოში დედაქალაქის მაჟორიტარები სრულიად "ბიძინა ივანიშვილი - ქართული ოცნების" წარმომადგენელები იქნებიან. ესენი არიან: ზაზა პაპუაშვილი; შალვა შავგულიძე; დავით უსუფაშვილი; შოთა ხაბარელი; ალექსანდრე ქანთარია; ზურაბ აბაშიძე; ვიქტორ დოლიძე; ვახტანგ ხმალაძე; თეა წულუკიანი; იოსებ ჯაჭვლიანი.

რაიონებიდან კი "ქართული ოცნების" წარმომადგენლენი იქნებიან: საგარეჯო - თინათინ ხიდაშელი; თელავი - გელა სამხარაული; ახმეტა - ზურაბ ზვიადაური; თიანეთი - ზაქარია ქუცნაშვილი; რუსთავი - ზვიად ძიძიგური; მცხეთა - დიმიტრი ხუნდაძე; დუშეთი - ერეკლე ტრიპოლსკი; ყაზბეგი - მირიან წიკლაური; კასპი - დავით ონოფრიშვილი; ქარელი - ლერი ხაბელოვი; ბორჯომი - გედევან ფოფხაძე; ხარაგაული - ნოდარ ებანოიძე; საჩხერე - მანანა კობახიძე; ზესტაფონი - გიორგი ქავთარაძე; ბაღდათი - არჩილ კბილაშვილი; სამტრედია - კახა კალაძე; ჭიათურა - მალხაზ წერეთელი; ტყიბული - ელისო ჩაფიძე; ონი - თამაზ ჯაფარიძე; ქუთაისი - გუბაზ სანიკიძე; ოზურგეთი - ზვიად კვაჭანტირაძე; ლანჩხუთი - თეიმურაზ ჩხაიძე; მესტია - ვიქტორ ჯაფარიძე; ჩოხატაური - თეიმურაზ ჭკუასელი; ფოთი - ეკა ბესელია; ბათუმი - მურმან დუმბაძე; ხელვაჩაური - როსტომ ხალვაში და ქობულეთი - ფატი ხალვაში.

აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შედეგები

რაც შეეხება აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შედეგებს - აჭარის 6 საარჩევნო ოლქი წამყვან პარტიებს - "ერთიან ნაციონალურ მოძრაობასა" და "ქართულ ოცნებას" შორის თანაბრად გადანაწილდა. ბათუმი, ქობულეთი, ხელვაჩაური "ქართულმა ოცნებამ" მოიგო, ქედაში, შუახევში და ხულოში კი "ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ" გაიმარჯვა. ოფიციალური მონაცემებით, აჭარის უმაღლეს ორგანოში პროპორციული წესით დეპუტატთა მანდატების 57.6 პროცენტს "ქართული ოცნება" მიიღებს, ხოლო 37 პროცენტს - "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა".

რაც შეეხება მაჟორიტარობის კანდიდატებს, გამარჯვებულთა სია ასეთია: ხულოში გაიმარჯვა "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" კანდიდატმა თემურ ბოლქვაძემ, ამავე პარტიის წევრებმა მოიპოვეს ხმათა უმრავლესობა შუახევში - მიხეილ მჟავანაძემ და ქედაში ირაკლი ბარამიძე. აჭარის უმაღლეს საბჭოში "ქართული ოცნების" წევრები მაჟორიტარული წესით მოხვდნენ ხელვაჩაურიდან თემურ კახიძე, ქობულეთიდან ანზორ თხილაიშვილი და ბათუმიდან აკაკი ძნელაძე.

ეს არის საქართველოს ამომრჩეველთა 99.95 პროცენტის გადაწყვეტილება. ახალი შედეგის გამოცხადებას მას შემდეგ უნდა ველოდოთ, რაც საარჩვენო კომისია არჩევნების შესახებ არსებულ საჩივრებს განიხილავს. ამისთვის ცესკო-ს კანონით სამდღიანი ვადა ეძლევა. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მხარე ცესკო-ს გადაწყვეტილებას სასამართლოში გაასაჩივრებს, მართლმსაჯულებამ ეს განცხადებები ორ დღეში უნდა განიხილოს. საბოლოო შედეგის შესაჯამებლად და გამოსაცხადებლად კი ცენტრალურ საარჩევნო კომისიას კიდევ 15 დღე დარჩა.

რას ფიქრობენ ბარიერის იქით

"ლეიბორისტები" არჩევნებს დადებითად აფასებენ

დათო გამისონია

კოალიცია "ქართული ოცნება" ხელისუფლების გადასაბარებლად ემზადება, "ნაციონალური მოძრაობა" საპარლამენტო ოპოზიციაში გადასვლას ეგუება, დანარჩენ პარტიებს კი პოლიტიკაში თავიანთი მომავლის განსაზღვრა უწევთ.

პირველი ნაბიჯი "ახალი მემარჯვენეების" უკვე ყოფილმა ლიდერმა დავით გამყრელიძემ გადადგა. გამყრელიძე პარტიის თავმჯდომარეობიდან და პოლიტიკიდან წავიდა. **"სამწუხაროდ, კონსტრუქციული და ზომიერი პოლიტიკის ადგილი ამ არჩევნებზე არ იყო. ორ პოლუსს შორის სერიოზული პოლარიზება მოხდა,"** - ასე ახსნა გამყრელიძემ პოლიტიკიდან წასვლის მიზეზი. მანვე დასძინა, რომ პოლიტიკურ განცხადებებს და კომენტარებს აღარ გააკეთებს, ხოლო პარტიამ ტაიმ-აუტი აიღო.

საპარლამენტო არჩევნებში ხმების, დაახლოებით, 1 პროცენტის მიღების მიუხედავად, პოლიტიკურ საქმიანობას გააგრძელებს "ლეიბორისტული პარტია". როგორც "ლეიბორისტების" პოლიტიკურმა მდივანმა გიორგი გუგავამ "24 საათს" უთხრა, პარტიის გეგმებზე "ლეიბორისტები" დეტალურად საუბარს მოგვიანებით აპირებენ. მანამდე კი პარტიის ისტორიაში პირველად, "ლეიბორისტები" საქართველოში ჩატარებულ არჩევნებს დადებითად აფასებენ. გიორგი გუგავა მიიჩნევს, რომ არჩევნები პრაქტიკულად გაუყალბებლად ჩატარდა. **"კარგი ის არის, რომ ხალხმა არჩევნების გზით ხელისუფლების შეცვლა ერთხელ მაინც შეძლო, მაგრამ არჩევანს ნამდვილად ვერ შევუქებთ. ის არჩევანი, რაც ქართველმა ამომრჩეველმა გააკეთა, იყო ღალატი საკვირველი. ამ არჩევანის შედეგებს თითეული მათგანი უახლოეს მომავალში იწვნევს,"** - ამბობს გუგავა.

ამომრჩევლებზე განაწყენებული არ არის, თუმცა შედეგით უკმაყოფილოა "ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა." პარტიის ლიდერ გიორგი თარგამაძის აზრით, პოლარიზაციის შედეგია ის, რომ ქდმ-მ ბარიერი ვერ გადალახა. მისი აზრით, საზოგადოებას გადაწყვეტილების მიღება შოკურ მდგომარეობაში მოუწია.

გიორგი თარგამაძის განცხადებით, ამ არჩევნებით არაფერი დასრულებულა და პარტიებს შორის რეალური ბრძოლა ახლა იწყება. მისი თქმით, "ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა" აქტიურ საქმიანობას აგრძელებს.

"ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის" პრესსამსახურში კი "24 საათს" უთხრეს, რომ პარტია არჩევნების შესახებ განცხადებას უახლოეს ხანში გააკეთებს.

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "ვპ". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: ქ თბილისი, კოსტავას ქ. № 68, საზოგადოებრივი მაუწყებელი, მე-3 კორპუსი, მე-3 სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

დაძაბულობა საბოლოო შედეგის დადგენამდე

პირველი გვერდიდან

ჩემი თხოვნა და მოწოდებაა, ყოველგვარი აქციები შევწყვიტოთ, გადავინაცვლოთ შენობებში, სასამართლოში, პარლამენტში და ყველა გაუგებრობა იქ გადავწყვიტოთ," - განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა. მანვე დასძინა, რომ ქართველმა ხალხმა იმ გმირობისა და ვაჟკაცობის შემდეგ, რაც არჩევნებზე აჩვენა, პროცესი ბოლომდე უნდა მიიყვანოს. **"იმ გმირობის შემდეგ, რაც გამოვიჩინეთ, ქუჩის აქციები აღარ გვეკადრება,"** - აღნიშნა ბიძინა ივანიშვილმა.

კოალიციის ლიდერის განცხადების მიუხედავად, გუშინ, მთელი დღის მანძილზე, "ნაციონალური მოძრაობა" საარჩევნო ადმინისტრაციის წევრებზე, საჯარო მოხელეებსა და პარტიის გამარჯვებულ კანდიდატებზე დაშინების და ფიზიკური ანგარისწორების ფაქტებზე ამახვილებდა ყურადღებას. "ნაციონალური მოძრაობის" პრესსპიკერმა ჩიორა თაქთაქიშვილმა აღნიშნა, რომ ზუგდიდში "ნაციონალური მოძრაობის" მაჟორიტარ კანდიდატ როლანდ ახალაიას ყოფილი მხედიონელი თემურ გერგაია ფიზიკური ანგარიშსწორებით დაემუქრა. თაქთაქიშვილი ასევე ამბობს, რომ ნინოწმინდაში "ქართული ოცნების" მაჟორიტარობის კანდიდატი ალბერტ ნურბეკიანი საოლქო კომისიის თავმჯდომარე სეირან კურეგიანს სახლისა და მისი კუთვნილი ფერმის გადაწვით დაემუქრა. მუქარის სხვა ფაქტებთან ერთად, თაქთაქიშვილი გარდაბანში "ქართული ოცნებიდან" მაჟორიტარობის კანდიდატ მამუკა არეშიძის ქმედებებზე საუბრობს. **"არეშიძე ხალხს საოქლო კომიასიაზე ზეწოლის მიზნით შეკრებისკენ მოუწოდებს,"** - თქვა თაქთაქიშვილმა. ბოლნისში კი, თაქთაქიშვილის ინფორმაციით, საოლქო კომისიის შენობა ალყაში იყო მოქცეული, სადაც "ქართული ოცნების" აგრესიული აქტივისტების ნაწილმა კარვები გაშალა და ანგარიშსწორებით იმუქრება.

თაქთაქიშვილის შეფასებით, "ქართული ოცნება" დემოკრატიული არჩევნების ჩაშლას ცდილობს, რომელიც, მისივე თქმით, საქართველოს ისტორიაში ყველაზე სამართლიანი და თავისუფალი იყო.

საოლქო კომისიის წევრებზე ზეწოლის შესახებ საუბრობს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი გიგა ბოკერია. ბოკერიას თქმით, ძალადობა და ძალადობის მუქარა მთავარი პრობლემაა, რომელიც ახლა საარჩევნო პროცესის მშვიდობიანად, კონსტიტუციურ ფარგლებში დასრულების წინაშე დგას. როგორც გიგა ბოკერია ამბობს, ხელისუფლების შემდეგ პასუხისმგებლობა ძირითად პოლიტიკურ ძალებს ეკისრება. **"იმ ვითარებაში, რომელშიც დღეს საქართველოა, პასუხისმგებლობა ორმაგად მაღალია, გამარჯვებული ძალა ხელისუფლებას სულ მალე აიღებს,"** - მიიჩნევს ბოკერია. ის მიესალმება "ქართული ოცნების" ლიდერთა განცხადებებს, რომლებმაც აქტივისტებს ასეთი ქმედებების შეწყვეტისკენ მოუწოდეს, თუმცა უკმაყოფილოა იმით, რომ მოწოდებებს შედეგი არ მოჰყოლია.

ბოკერია დასძენს, რომ მიმდინარე დავების მიუხედავად, არჩევნების შედეგი ყველასთვის ნათელია. მისი აზრით, შედეგების შეჯამება არა მხოლოდ რომელიმე პოლიტიკური ძალის, არამედ საქართველოს ინტერესია. **"ის, თუ როგორ ჩაივლის ხელისუფლების გადაცემის პროცესი, საქართველოს დემოკრატიულად ჩამოყალიბებაზე, უსაფრთხოებაზე, საგარეო პოლიტიკურ ამოცანებსა და ნატო-ში განევრიანებაზე გავლენას იქონიებს. თუ გამარჯვებული ლიდერები გულწრფელები არიან, ეს ამოცანა შესრულდება,"** - ამბობს გიგა ბოკერია.

საარჩევნო ადმინისტრაციაზე განხორციელებულ ზეწოლასა და გასაჩივრებულ საკითხებს ეხებოდა ცესკო-ს სპიკერ ეკა აზარაშვილის პრესკონფერენცია. ცესკო-ს ინფორმაციით, სიღნაღის და ხულოს თითო-თითო უბანზე შედეგები გაუქმდა, რის შემდეგაც ამ უბნებზე ხელახალი კენჭისყრა უნდა გაიმართოს. ცესკო-ს სპიკერის თქმით, ხელახალი კენჭისყრის დანიშვნის დღის შესახებ გადაწყვეტილებას საარჩევნო ადმინისტრაცია მიიღებს. როგორც აზარაშვილი ამბობს, ყვარელში, თერჯოლასა და ხაშურში ჯერჯერობით არც ერთი უბნის შედეგი არ გაბათილებულა, თუმცა ამ ოლქებში შესულია საჩივრები და მათი განხილვა მიმდინარეობს.

აზარაშვილის თქმით, ცესკო ყველა დარღვევაზე სამართლებრივ რეაგირებას მოახდენს. მას შემდეგ კი, რაც სხვადასხვა ინსტანციებში გასაჩივრების ვადები ამოიწურება, კომისია საბოლოო შედეგების გამოქვეყნებას შეძლებს.

პროცედურის მიხედვით, საუბნო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებების საოლქო საარჩევნო კომისიაში გასაჩივრება, მათი მიღებიდან 3 კალენდარული დღის ვადაში შეიძლება, სადაც საჩივარი ერთ კალენდარულ დღეში უნდა განიხილონ. ხოლო, საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება 2 კალენდარულ დღეში შეიძლება გასაჩივრდეს რაიონულ საქალაქო სასამართლოში, რომელიც გადაწყვეტილებას 2 კალენდარულ დღეში გამოიტანს. მისი სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრებისთვის ერთდღიანი ვადაა და განსახილველად 2 დღე არის დაწესებული. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ცესკო-მ გუშინ კიევის 35-ე საარჩევნო უბანის კენჭისყრის შედეგების გაუქმებაც მოუწია. კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ხარატიშვილის განცხადებით, კიევში კომისიის წევრებსა და საქართველოს მოქალაქეებს შორის შეხლა-შემოხლა მოხდა, რის შემდეგაც კომისიის თავმჯდომარე საავადმყოფოში გადაიყვანეს. კიევის უბანზე არჩევნების შედეგების ბათილად ცნობას "სამართლიანი არჩევნები" ითხოვდა.

შეერთებული შტატების ელჩი ზუგდიდის აქციაზე

განსაკუთრებით დაძაბული ვითარება გუშინ ზუგდიდში იყო. საოლქო საარჩევნო კომისიის შენობასთან "ქართული ოცნების" მხარდამჭერები შეიკრიბნენ. ისინი იმ შედეგებს აპროტესტებენ, რომლის მიხედვით, "ნაციონალური მოძრაობის" მაჟორიტარი კანდიდატი როლანდ ახალაია ლიდერობს. შეკრებილებს ამავე ოლქში "ქართული ოცნების" კანდიდატმა ირაკლი ალასანიამ მიმართა: **"საბოლოოდ წავა ჩვენი ცხოვრებიდან ზუგდიდში ახალაიების ფეოდალური კლანური მმართველობა."** ალასანიას თქმით, არც ერთი ხმა, რომელიც "ქართულმა ოცნებამ" მიიღო, არ დაიკარგება.

ზუგდიდში იმყოფებოდა ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი რიჩარდ ნორლანდი. ის ჯერ საოლქო კომისიის შენობაში იმყოფებოდა, შემდეგ კი მიტინგზეც მივიდა. ის ჟურნალისტებს აქციაზევე გაესაუბრა. **ეს საქართველოს ისტორიაში შესანიშნავი კვირა იყო. დემოკრატიული არჩევნების შედეგად საქართველოში ხელისუფლება მშვიდობიანად შეიცვალა, მაგრამ პროცესი სრულად არ დასრულებულა. ჩვენი მიზანია, როგორც მშვიდობიანი ტრანსფორმაციით დაიწყო ეს კვირა, უზრუნველყოთ, რომ ასევე დასრულდეს,"** - აღნიშნა ამერიკის ელჩმა.

ელჩმა აღნიშნა, რომ ამ არჩევნებს საერთაშორისო თანამეგობრობის მრავალ წარმომადგენელთან ერთად აკვირდებოდა და ზუგდიდშიც დამკვირვებლის სტატუსით იმყოფება. **"რატომ სამეგრელო?! იმიტომ, რომ ეს სპეციფიკური რეგიონია და აქ სპეციფიკური დინამიკაა,"** - შენიშნა რიჩარდ ნორლანდმა. ის მიესალმება ირაკლი ალასანიას განცხადებას, რომელიც ამბობს, რომ საოლქო კომისიებში პარტიების წარმომადგენლებმა და პროფესიონალებმა შიშისგან თავისუფალ გარემოში უნდა გააგრძელონ მუშაობა.

მოწოდებების მიუხედავად, ზუგდიდის N67-ე საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომა ხმაურით წარიმართა. კომისიის თავმჯდომარემ ნანა ოკუჯავამ კომისიის წევრებს საარჩევნო ოქმებზე აღნიშნული ხელმოწერების გადათვლა მოსთხოვა, ხოლო "ქართული ოცნების" წარმომადგენლები უფრო მნიშვნელოვანი საკითხების განხილვას ითხოვდნენ. კომისიის სხდომას გიორგი ბარამიძე და ყოფილი პარლამენტარი ხათუნა ხოფერიაც ესწრებოდნენ. ხათუნა ხოფერიას თქმით, ნანა ოკუჯავა ახალაიას ოჯახის ზეგავლენის ქვეშაა, რადგან მისი მეუღლე ციხიდან ახლახან გაათავისუფლეს.

"დრამა, მაგრამ არა - ტრაგედია"

"თავისუფალი უნივერსიტეტის" დამფუძნებელი კახა ბენდუქიძე საპარლამენტო არჩევნებში "ნაციონალური მოძრაობის" დამარცხებას "ლენტა.რუ"-სთან ინტერვიუში აფასებს. ბენდუქიძე აცხადებს, ეს არის დრამა, მაგრამ არა - ტრაგედია. მისი აზრით, ქართველი ამომრჩევლის სიმპათიებში "ტექტონიკური ძვრები" საქართველოს ცხეებში მომხდარმა სკანდალმა განაპირობა.

ბენდუქიძე სააკაშვილს ელცინსა და რუზველტს ადარებს და აცხადებს, რომ მან საკუთარი ძალა აჩვენა.

ივანიშვილის ხელისუფლებაში მოსვლას კი ეკონომიკის ყოფილი მინისტრი "არასასიამოვნო სანახაობას, მაგრამ გარდაუვალს" უწოდებს.

ბენდუქიძე სააკაშვილის დამსახურებას წარმატებულ ეკონომიკურ რეფორმებში ხედავს და აცხადებს, რომ საქართველოს პრეზიდენტი წარმოჩინდა, როგორც ნამდვილი დემოკრატი.

"რაც მოხდა, მოხდა. უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში, სასწორის თეფშები გადაიხარა. აქამდე, ოპოზიციის შანსები გაცილებით მცირე იყო - ჩემი პროგნოზით, 100/40-თან "ნაციონალური მოძრაობის" სასარგებლოდ. შედეგები არ მომწონს, მაგრამ ეს რეფორმების ნათელი შედეგია," - აღნიშნავს ბენდუქიძე. მისი თქმით, გაიზარდა თაობა, რომელსაც ადამიანის უფლებების საკითხი აწუხებს.

"ჩემი და თქვენი თაობის ადამიანებს არ უკვირთ, როდესაც პატიმრებზე ძალადობის შესახებ ესმით. რუსეთის ან სხვა მეზობელი ქვეყნების ქუჩებშიც არავინ გამოდის, ისევე როგორც არ გამოვიდნენ მაგნიტსკის სიკვდილისას. ბევრი, ვინც მზად იყო, ხმა სააკაშვილის პარტიისთვის მიეცა, არჩევნებზე არ წავიდა. პირიქით, არჩევნებში მონაწილეობა სკანდალით აღშფოთებულმა მოქალაქეებმა მიიღეს. ხმის მიცემისას 20 წუთის განმავლობაში რიგში ვიდექი, რაც აქამდე არ ყოფილა," - შენიშნა ბენდუქიძემ და კიდევ რამდენიმე მიზეზი დაასახელა, რამაც, მისი აზრით, "ნაციონალური მოძრაობის" დამარცხება გამოიწვია.

"არიან ადამიანები, რომლებიც შევარდნაძის პრეზიდენტობისას "ფულს შოულობდნენ" - მაგალითად, საბაჟო სამსახურის თანამშრომლები, კორუმპირებული პროფესორები. არიან ადამიანები, ვისაც, უბრალოდ, ხელისუფლებაში მოსვლა და სტატუს-კვოს აღდგენა სურს - იმავე კანონიერ ქურდებს. უკმაყოფილო ადამიანი ბევრია. ეკონომიკის სამინისტროდან პირადად მე ორი ათასამდე ადამიანი გავათავისუფლე. ისინი, რა თქმა უნდა, ხმას "ნაციონალურ მოძრაობას" არ მისცემდნენ. სხვა უწყებებიდანაც უამრავი ადამიანი გათავისუფლდა, მათ შორის, ძველი პოლიციელები," - განაცხადა ბენდუქიძემ და დასძინა, რომ ხელისუფლებასთან თავადაც იმდენი პრეტენზია აქვს, 1000-გვერდიანი წიგნის დაწერას შეძლებდა.

ესთეტიკურ პრეტენზიებს შორის, ბენდუქიძე "თავისუფლების მოედანს" ასახელებს. ასევე, შენიშვნები აქვს განათლების რეფორმის დეტალებთან და ბიუჯეტის დეფიციტთან. ეკონომიკის ყოფილი მინისტრი მიიჩნევს, რომ გადასახადები დაბალი უნდა იყოს და სახელმწიფო ინვესტიციები სხვა მიმართულებებით გამოიყენონ.

"საქართველოში დემოკრატია კარგად ფუნქციონირებადია"

"საქართველოში საინტერესო პერიოდია და ეს დემოკრატიის გამოცდაა," - ამის შესახებ ჟურნალისტებს საქართველოში ვიზიტით მყოფმა გერმანიის პარლამენტის ვიცე-სპიკერმა ვოლფგანგ ტირზემ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ გრიგოლ ვაშაძესთან შეხვედრის შემდეგ განუცხადა.

მისი თქმით, გერმანული მხარე სიმპათიით უყურებს ამ მოვლენებს და უხარია, რომ საქართველოში დემოკრატია კარგად ფუნქციონირებადია.

გერმანიის პარლამენტის ვიცე-სპიკერმა აღნიშნა, რომ მისი ქვეყანა მომავალშიც გააგრძელებს საქართველოს მხარდაჭერას ევროპის გზაზე.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ გრიგოლ ვაშაძის განცხადებით კი, ქართული მხარე მოხარულია, რადგან გერმანელი სტუმრები ქართველი ერის მიერ კიდევ ერთი დემოკრატიული გამოცდის ჩაბარებისა და პირველად ისტორიაში, ხელისუფლების კონსტიტუციის გზით გადაცემის მოწმენი გახდნენ.

"ჩვენ მადლობას ვუხდით გერმანელებს იმ მხარდაჭერისთვის, რაც მათ ჩვენ დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ გაგვიწიეს. ჩვენ მათ ვუთხარით, რომ საქართველოს ვერასდროს ვერავინ გადაახვევინებს ევროპული და ევროატლანტიკური გზიდან," - განაცხადა გრიგოლ ვაშაძემ.

მისივე თქმით, არა აქვს მნიშვნელობა, ოპოზიციაში იქნება თუ ხელისუფლებაში და ის ყოველთვის მოხარული იქნება გერმანიის პარლამენტის ვიცე-სპიკერის ვიზიტით.

"რუსთავი 2"-ის 40-პროცენტიანი წილი დავით კეზერაშვილმა იყიდა

ტელეკომპანია "რუსთავი 2"-ის 40-პროცენტიანი წილის მფლობელი შპს "მედია ჯორჯია" გახდა, რომლის დამფუძნებელი და 100-პროცენტიანი წილის მფლობელი დავით კეზერაშვილია.

საჯარო რეესტრის მონაცემებით, "მედია ჯორჯიამ", რომელიც 3 ოქტომბერს დაფუძნდა, 40-პროცენტიანი წილი ლევან ყარამანიშვილისგან ნახევარ მილიონ დოლარად შეიძინა.

წილის მიყიდვის გადაწყვეტილება გუშინ პარტნიორთა კრებაზე მიიღეს.

"რუსთავი 2"-ის 50 პროცენტს ლევან ყარამანიშვილი ფლობს, 10 პროცენტს - გიორგი გეგეშიძე და 40 პროცენტს - დავით კეზერაშვილი.

წილის ნასყიდობის ხელშეკრულებას "მედია ჯორჯიადან" ხელს მყიდველი გიორგი ფრუიძე აწერს.

ბიძინა ივანიშვილი საქართველოს დატოვებას არ აპირებს

მეორე, ჩვენ გვაქვს კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილება, რომელიც, როგორი პარადოქსულიც არ უნდა იყოს, ამბობს, რომ ევროკავშირის წევრი ქვეყნის მოქალაქე, თუ ის დაიბადა და ბოლო 5 წელი უცხოვრია საქართველოში, შეიძლება გახდეს პრემიერ-მინისტრი. დღეს სწორედ ეს მოცემულობაა. ასე რომ, უკვე კონსტიტუციითაა შეუძლებელი, პრემიერ-მინისტრად მოაზრებული პირი ქვეყნიდან გააძევონ," - განაცხადა არჩილ კბილაშვილმა.

მისივე განმარტებით, ევროპულ კონვენციას და კონსტიტუციას "უცხოელ მოქალაქეთა საქართველოში ცხოვრების შესახებ" კანონთან მიმართებაში მეტი უპირატესობა აქვს.

"თუ შევადარებთ, ერთი მხრივ, "უცხოელ მოქალაქეთა საქართველოში ცხოვრების შესახებ" კანონს, რომელიც ევროკავშირის წევრი ქვეყნისთვის საქართველოში ყოფნის 360-დღიან ნორმას ადგენს და მეორე მხარეს დავაყენებთ ევროკონვენციას და საქართველოს კონსტიტუციას, თავისთავად ცხადია, რომ კონსტიტუციისა და ევროკონვენციის ძალა უფრო დიდია. ამიტომაც, სამართლებრივად ბიძინა ივანიშვილს არანაირი პრობლემა არ შეექმნება," - განაცხადა არჩილ კბილაშვილმა.

თავად ბიძინა ივანიშვილმა ჟურნალისტებთან შეხვედრისას განაცხადა, რომ, მართალია, მას ადვოკატებთან არ გაუვლია დეტალური კონსულტაციები, თუმცა ყოფილი პარლამენტის მიერ მიღებული საკონსტიტუციო ცვლილებები მას უფლებას აძლევს, არ დატოვოს საქართველოს ტერიტორია.

"შეიძლება პრემიერ-მინისტრს ვიზა უმთავრდებოდეს? არ ვაპირებ საქართველოდან არსად წასვლას," - განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

ძარცვის ტალღა თბილისში

გუშინ, თბილისში ფულის გატაცების რამდენიმე შემთხვევა მოხდა - საქართველოს ბანკის , პროკრედიტ ბანკის ფილიალებისა და ქინძმარაულის ქუჩაზე მდებარე სადისტრიბუციო კომპანიიდან.

თვითმხილველთა თქმით, დიდ დიღომში, რობაქიძის გამზირზე მდებარე "პროკრედიტ ბანკში" გუშინ დილით ახალგაზრდა მამაკაცმა, რომელსაც სახეზე პირბადე ჰქონდა აფარებული, ფული გაიტაცა. მას თან არ ჰქონდა იარაღი და მისი მხრიდან ადგილი არც მუქარას ჰქონია.

"9:48 საათზე ბანკში კლიენტი - ახალგაზრდა მამაკაცი შემოვიდა, რომელმაც დაახლოებით წუთნახევრის განმავლობაში მოახერხა ის, რომ ოპერატორის წინ მდებარე თანხა სწრაფად გაიტაცა და გაიქცა. ყოველივე ეს დააფიქსირეს ჩვენმა სათვალთვალო კამერებმა და დროულად ჩაირთო სიგნალიზაცია. თუმცა ყოველივე ეს იმდენად სწარფად მოხდა, რომ მძარცველმა გაქცევა მოასწრო," -

აცხადებენ «პროკრედიტ ბანკის» თანამშრომლები. მათივე თქმით, გამტაცებელმა მცირე რაოდენობის თანხა გაიტაცა.

შემთხვევიდან დაახლოებით 10 წუთის განმავლობაში ადგილზე მივიდნენ სამართალდამცველრბი, რომლებმაც ფაქტის გამოძიება დაიწყეს.

პოლიციამ გუშინვე ამოიღო და დაიწყო სათვალთვალო ვიდეომასალის გაშიფვრადა დაკითხეს ბანკის თანამშრომლები, რის შემდეგაც, ბანკის ფილიალმა მუშაობა დრის მეორე ნახევრიდან გააგრძელა.

გუშინ ყაჩაღობა მოხდა ქინძმარაულის ქუჩაზე მდებარე სადისტრიბუციო კომპანიაში. არსებული ინფორმაციით, რამდენიმე ნიღბით სახედაფარული მამაკაცი სადისტრიბუციო კომპანიას დაესხა თავს, თანამშრომლები იარაღის მუქარით იატაკზე დააწვინეს და კომპანიიდან 40 ათასი ლარი გაიტაცეს.

გუშინვე დაესხნენ თავს ვარკეთილში, კალაუბნის ქუჩაზე მდებარე "საქართველოს ბანკის" ფილიალს.

ბანკში ერთი თავდამსხმელი შეიჭრა, რომელმაც უმნიშვნელო რაოდენობის თანხის გატაცება მოახერხა. ამის შესახებ news.ge-ს ბანკის პრესსამსახურის უფროსმა სოფო ბალავაძემ განუცხადა.

"საქართველოს ბანკში" ძალიან მაღალ დონეზეა დაცული უსაფრთხოების ნორმები. აქედან გამომდინარე, რა საკვირველია, არსებობს ყველანაირი ვიდეოჩანაწერი, რომელიც ხელს შეუწყობს ამ საქმის გახსნას. რაც მთავარია, ამ შემთხვევისას არავინ დაშავებულა, თანხის ზუსტი რაოდენობა არ ვიცი, თუმცა დანამდვილებით გეტყვით, რომ ეს უმნიშვნელო რაოდენობის თანხის გატაცებაა," - განაცხადა ბალავაძემ.

მამუკა კაციტაძე თანამდებობას ტოვებს

სიების დაზუსტების კომისიის თავმჯდომარე მამუკა კაციტაძე თანამდებობას ტოვებს და კომისიის რიგით წევრად რჩება. როგორც კაციტაძემ გუშინდელი სხდომის შემდეგ განაცხადა, მიუხედავად თანამდებობიდან წასვლისა, იტოვებს პასუხისმგებლობას საქმიანობაზე, რომელიც კომისიამ შექმნიდან დღემდე განახორციელა. "მე ნათქვამი მქონდა, რომ 1-ელი ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, ჩემს თავს ვეღარ მოვიაზრებდი ამ თანამდებობაზე, რის გამოც დღეს მივმართე კომისიას და დავტოვე თანამდებობა," - განაცხადა კაციტაძემ. ვინ გახდება კომისიის თავმჯდომარე, ჯერ უცნობია. კაციტაძის განმარტებით, კანონმდებლობით ამ პოსტზე შესაძლებელია მისი მოადგილე ან ოპოზიციონერი წევრებიდან რომელიმე დაინიშნოს. გუშინვე "მემარჯვენემ" ჟურნალისტებს არჩევნების დღეს ჩატარებული მონიტორინგის შედეგები გააცნო. მისი განცხადებით, კომისიამ განახორციელა მონიტორინგი დაზუსტებულ სიასა და სამაგიდო სიას შორის და დარღვევებს ადგილი არ ჰქონია. "კომისიაზე ყველამ ერთხმად გამოთქვა კმაყოფილება, რომ პრინციპში არ ყოფილა პრობლემა სიის მხრივ. თემა, რომელიც მუდმივად ითვლებოდა პრობლემად, თემა, რომელზეც მოხდა 2003 წლის რევოლუცია, ამ არჩევნების შემდეგ პრობლემათა ნუსხაში არც კი მოიხსენიებოდა, რაშიც ჩვენი მოკრძალებული წვლილიც არის," - აღნიშნა კაციტაძემ. კომისიამ მუშაობა გასული წლის 17 ნოემბერს დაიწყო და უფლებამოსილება 2012 წლის ბოლოს უწყდება.

ინგა გრიგოლია: "მალე ოფიციალურად გამოვაცხადებ, რომ მივდივარ პოლიტიკიდან"

"ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის" წევრი ინგა გრიგოლია არ გამორიცხავს, რომ მუშაობა ისევ მედიის მიმართულებით გააგრძელოს. როგორც გრიგოლიამ გაზეთ "პრაიმ ტაიმთან" ინტერვიუში განაცხადა, ქართულ პოლიტიკაში მისნაირი ემოციური ადამიანების ადგილი არ არის.

"ძალიან მალე, ამას ოფიციალურად გამოვაცხადებ, რომ მივდივარ პოლიტიკიდან. ჯერჯერობით, საკრებულოში ვრჩები ფრაქციის თავმჯდომარედ, ეს რამდენიმე დღე მჭირდება იმისთვის, რომ გარკვეული მოვალეობები შევასრულო კონკრეტული ადამიანების მიმართ. კერძოდ, რამდენიმე მათგანის ოპერაციის შუამდგომლობები მქონდა გაკეთებული და მინდა, რომ ეს საქმე ბოლომდე მივიყვანო. ამის შემდეგ კი, ოფიციალურად დავტოვებ პოლიტიკას," - განაცხადა გრიგოლიამ და შენიშნა, რომ ქვეყანაში სააკაშვილის მმართველობის დასრულების შემდეგ ქართულ ჟურნალისტიკაში დაბრუნებას ისედაც აპირებდა.

ინგა გრიგოლიასთვის "მაესტროს" დამფუძნებელ მამუკა ღლონტის შეთავაზება ტელეკომპანია "მაესტროზე" გადასვლაის შესახებ, კვლავ ძალაშია.

"მე დაველოდები ინგას პასუხს. ვფიქრობ, უფრო ადრე გამომეხმაურებოდა, მაგრამ არც ახლა არის გვიანი," - განაცხადა მამუკა ღლონტმა.

ნიკა ჯანჯღავა დაკავებულია

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ დააადასტურა გავრცელებული ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ დაკავებულია ყოფილი სამხედრო მაღალჩინოსანი ნიკოლოზ ჯანჯღავა. როგორც "ინტერპრესნიუსს" შსს-ს პრესსამსახურის უფროსმა სალომე მახარაძემ განუცხადა, ჯანჯღავა ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლით, პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევის ბრალდებით დააკავეს. ჯანჯღავას 60-დღიანი პატიმრობა აქვს მისჯილი. ის 20 აგვისტოს დააკავეს და მახარაძის ინფორმაციით, პატიმრობის ვადა სავარაუდოდ, 19 ოქტომბერს ეწურება. თუ რა ვითარებაში მოხდა ჯანჯღავას აყვანა მახარაძეს ინფორმაცია არ აქვს.

ლუკა კურტანიძის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა

"კოალიცია "ქართული ოცნების" ლაგოდეხის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა ელდარ (ლუკა) კურტანიძემ, თანმხლებ პირებთან ერთად, სასტიკად სცემა გიორგი მუმლაძე და გიორგი ლომიძე. შემთხვევა ლაგოდეხის რაიონის სოფელ ცოდნისკარის #8-ე საარჩევნო უბანში მოხდა. ელდარ კურტანიძე თავის თანამოაზრეებთან ერთად რამდენჯერმე იყო შემჩნეული განსხვავებული პოლიტიკური შეხედულების მქონე ადამიანების მიმართ აგრესიულ დამოკიდებულებაში, სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფაში. ფაქტზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე 239-ე მუხლის მე-2 ნაწილით," - ნათქვამია შსს-ს განცხადებაში.

ბათუმს ახალი მერი ჰყავს

ბათუმის საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე ბათუმის მერად ჯემალ ანანიძე აირჩიეს. მის კანდიდატურას მხარი საკრებულოს 17-მა დეპუტატმა დაუჭირა, 3 კი წინააღმდეგი იყო. საკრებულოს სხდომაზე ფრაქცია "ბათუმელებისთვის" წევრები ბათუმის მერის მოკლე ვადაში დამტიკიცებას ეწინააღმდეგებოდნენ. ფრაქციის თავმჯდომარის, "რესპუბლიკელ" ირაკლი ჩავლეიშვილის თქმით, კანონი არ ზღუდავდა ჯემალ ანანიძეს, ყოფილიყო მერის მოვალეობის შემსრულებელი. "რა საჩქარო იყო, ერთ საათში მოინვიეს ბიურო, შემდეგ საკრებულოს სხდომა დანიშნეს და დაამტკიცეს მერი. ნაჩქარევად, ემოციების ფონზე მიიღეს გადაწყვეტილება," - აღნიშნა ჩავლეიშვილმა.

ახლად არჩეული მერი ჯემალ ანანიძე იძლევა პირობას, რომ გუნდური მუშაობით გააგრძელებს დაგეგმილი პროექტების დასრულებას.

ჯემალ ანანიძე 2010 წლიდან ბათუმის მერის მოადგილედ მუშაობდა, მანამდე კი მერიის საფინანსო სამსახურის ხელმძღვანელი იყო.

ბათუმის ყოფილი მერი რობერტ ჩხაიძე აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობდა, რის გამოც თანამდებობა დატოვა.

"პოსტსაბჭოთა ავტორიტარიზმიდან დასავლური დემოკრატიისკენ"

მარი ახსიაშვილი

საქართველოში ჩატარებული საპარლამენტო არჩევნები კვლავ საერთაშორისო საზოგადოების და მედიის ყურადღების ქვეშ არის. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტი ჟან-კლოდ მინიონი საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს კონსტრუქციულ პოზიციას უწონებს. როგორც მინიონმა სტრასბურგში, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის შემოდგომის სესიაზე გამოსვლისას განაცხადა, დემოკრატიული არჩევნების ჩატარებით საქართველომ წინ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა.

"განსაკუთრებით მინდა, მივესალმო პრეზიდენტ სააკაშვილის კონსტრუქციულ პოზიციას, რომელმაც განაცხადა, რომ სურს, ხელი შეუწყოს ახალი მთავრობის ფორმირების პროცესს. საქართველოს პოლიტიკურ ძალებს დიალოგისკენ მოვუწოდებ, რათა მათ შეძლონ წარმატებული თანაცხოვრება ქართველი ხალხის უკეთესი მომავლისა და რეგიონის სტაბილიზაციისთვის," - განაცხადა ჟან-კლოდ მინიონმა.

საქართველოში ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების შესახებ ერთობლივი განცხადება გაავრცელეს აშშ-ს სენატორებმა - ჯონ მაკკეინმა, ჯო ლიბერმანმა და ლინდსი გრაჰამმა. სენატორების თქმით, ბოლო 9 წლის განმავლობაში სააკაშვილის რეფორმისტმა გუნდმა საქართველო უკეთესობისკენ რადიკალურად შეცვალა და მსოფლიოში სამაგალითო გახადა. ხოლო ის, რომ მთავრობამ შეძლო დამარცხების აღიარება, დემოკრატიის უდავო დასტურია. სენატორები ასევე ულოცავენ კოალიცია "ქართულ ოცნებას" და მის ლიდერ ბიძინა ივანიშვილს არჩევნებში გამარჯვებას და მოუწოდებენ, ისეთივე კონსტრუქციულები იყვნენ გამარჯვების შემდეგ, როგორიც იყო მთავრობა - დამარცხების შემდეგ.

"საქართველოს რეფორმისტი მთავრობის მიერ სახელმწიფოში გატარებული გარდაქმნები მსოფლიოსთვის სამაგალითო იყო - ისინი მოიცავდა წარმატებას ერთ დროს ფართოდ გავრცელებული კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში, ცხოვრებისეული სტანდარტების ამაღლებას და დემოკრატიულ, ევროატლანტიკურ საზოგადოებაში საქართველოს მიერ დამსახურებული ადგილის დასაკავებლად არჩეულ კურსს. ამ დროის განმავლობაში საქართველოს ლიდერების დემოკრატიისადმი ერთგულება კითხვის ნიშნის ქვეშ ბევრმა ცინიკოსმა დააყენა. ისინი ამტკიცებდნენ, რომ საბოლოოდ, ვარდების რევოლუციის პოტენციალი გაქრებოდა. ამ კვირას საქართველოში ჩატარებული საპარლამენტო არჩევნები, რომელიც საერთაშორისო დამკვირვებლებმა შეაფასეს, როგორც ამ ქვეყნის ისტორიაში ჩატარებული ყველაზე სანდო და კონკურენტული, საქართველოს ნამდვილი და შესანიშნავი პროგრესის სრული დადასტურებაა პოსტსაბჭოთა ავტორიტარიზმიდან დასავლური დემოკრატიის მიმართულებით," - აღნიშნულია სენატორების განცხადებაში.

მათ ასევე მოუწოდეს კოალიციას, დაიცვან კანონის უზენაესობა და არ მოიწონეს ბიძინა ივანიშვილის შეთავაზება პრეზიდენტის გადადგომის შესახებ. მათ ასევე არ მოსწონთ ივანიშვილის მუქარა ზოგიერთი საჯარო მოხელის გასამართლების შესახებ. სენატორების თქმით, საქართველო-აშშ-ს ორმხრივი ურთიერთობები დამოკიდებულია ქართული დემოკრატიის და ინსტიტუციების განვითარებაზე.

"ქართულმა ოცნებამ" კანონს პატივი უნდა სცეს და სახელმწიფო ინსტრუმენტები პოლიტიკური შურისძიებისთვის არ უნდა გამოიყენოს; მთელი ერის ინტერესებს და მისწრაფებებს უნდა ემსახურონ და ოპოზიციასთან კონსტრუქციულად იმუშაონ იმისთვის, რომ ქვეყანამ წინ იაროს. ამ მხრივ, შეშფოთებას გამოვთქვამთ იმ დამაპირისპირებელ გამონათქვამებზე, რომლებიც ბატონი ივანიშვილისგან მოდიოდა და პრეზიდენტ სააკაშვილის გადადგომისკენ მოწოდებას მოიცავდა, ისევე როგორც სასამართლო პასუხისმგებლობის დაუზუსტებელი მუქარისა და "ქართული ოცნების" მხარდამჭერთა მიერ უწესრიგობის და მუქარის ქმედების შესახებ გავრცელებულ ინფორმაციაზე. როგორც ყოველთვის, შეერთებული შტატებისა და საქართველოს ურთიერთობა საქართველოს დემოკრატიული კულტურის და ინსტიტუციების განვითარების და გაღრმავების გაგრძელებაზეა დამოკიდებული," - ნათქვამია განცხადებაში.

საქართველოს საპარლამენტო არჩევნების შესახებ განცხადება გაავრცელა ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტრომაც. ისრაელი **"უაღრესად დადებითად აფასებს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მიერ დემოკრატიის განვითარებაში შეტანილ წვლილს"** და ულოცავს კოალიცია "ქართული ოცნების" ლიდერ ბიძინა ივანიშვილს არჩევნებში გამარჯვებას.

"ისრაელი საქართველოს მთავრობასა და ხალხს ულოცავს თავისუფალი, დემოკრატიული არჩევნების ჩატარებას, რომლის მოწმენიც რამდენიმე დღის წინ გავხდით და რომელმაც ეუთო-ს დამკვირვებლების მოწონება დაიმსახურა. ისრაელის მიზანია შესანიშნავი ორმხრივი ურთიერთობის გაძლიერება როგორც სახელმწიფო, ასევე საზოგადოებრივ დონეზე," - აღნიშნულია ისრაელის საგარეო უწყების განცხადებაში.

საქართველოს საპარლამენტო არჩევნებს კვლავ ეხმაურება საერთაშორისო პრესაც. "ნიუ იორკ ტაიმსი" სარედაქციო წერილში - "საქართველომ საკუთარი ნება გამოხატა" - წერს, რომ კარჩაკეტილი მილიარდერის საოცარი გამარჯვება კითხვებს აჩენს, თუმცა სანამ ამ კითხვებს პასუხი გაეცემა, თავად არჩევნები აღფრთოვანებას იმსახურებს.

"უზარმაზარი მიღწევა გახლავთ ის, რომ ორშაბათს, ამ პატარა პოსტსაბჭოთა სახელმწიფოში ჩატარებული არჩევნები, საერთაშორისო დამკვირვებლების შეფასებით, გამორჩეულად თავისუფალი და სამართლიანი იყო, მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტი სააკაშვილი სულ უფრო და უფრო ამკაცრებდა პოლიტიკას. "ვარდების რევოლუციიდან" ცხრა წლის თავზე ამ არჩევნების შედეგები ორივე მხარემ აღიარა," - წერს გამოცემა.

რედაქციის შეფასებით, შემდეგ ნაბიჯებს უამრავი საფრთხე ახლავს, რადგან ქვეყანა გარდამავალ პოლიტიკურ ფაზაშია - ამ დროს ის გამარჯვებულმა და დამარცხებულმა მომდევნო ერთი წლის განმავლობაში ერთობლივად უნდა მართონ.

"ახალი მთავრობის კიდევ ერთი გამოწვევაა რუსეთთან დაძაბულობის შემცირება ისე, რომ ქვეყანამ უარი არ თქვას დასავლურ ამბიციებზე. ბ-ნ სააკაშვილს, რომელმაც მტკიცედ პროდასავლური კურსი აიღო, მოსკოვი სრულად გაემიჯნა, განსაკუთრებით რუსეთ-საქართველოს ხანმოკლე ომის შემდეგ. რუსეთმა ბოიკოტი გამოუცხადა ქართულ ღვინოს და სხვა პროდუქტებს, რამაც ქართველებს დარტყმა მიაყენა, ხოლო რუსეთის მხრიდან ორი ქართული რეგიონის - აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარება, ღრმა ჭრილობად რჩება," - წერს "ნიუ იორკ ტაიმსი".

ქართულ არჩევნებს ასევე სარედაქციო წერილით ეხმაურება "ვაშინგტონ პოსტი". "დემოკრატიული გარდატეხა საქართველოში" - ამ სახელწოდების პუბლიკაციაში გამოცემა წერს, რომ საქართველომ იმ რეფორმატორებზე უარის თქმის ფასად, რომლებიც ქვეყანას 2003 წლის "ვარდების რევოლუციის" შემდეგ მართავდნენ, დემოკრატიული გარღვევა მოახდინა.

"ოპოზიციურმა კოალიციამ, რომელსაც მილიარდერი პოლიტიკური ახალბედა უდგას სათავეში, დაამარცხა მმართველი პარტია და პარლამენტში მანდატების უმრავლესობა მოიპოვა. ამ არჩევნებს საერთაშორისო დამკვირვებლებმა ქვეყნის ისტორიაში ყველაზე კონკურენტული და სანდო არჩევნები უწოდეს. სამშაბათს, პრეზიდენტმა სააკაშვილმა, რომელსაც ოპონენტები ხშირად ძალაუფლების ბოროტად გამოყენებაში ადანაშაულებენ, დაადასტურა, რომ მისი ერთგულება ლიბერალური დემოკრატიისადმი რეალურია. სატელევიზიო გამოსვლაში მანამდე, სანამ ოფიციალური შედეგები გამოქვეყნდებოდა, სააკაშვილმა განაცხადა, რომ აღიარებს თავისი პარტიის დამარცხებას არჩევნებში და ხელს არ შეუშლის გამარჯვებულ კოალიციას, აირჩიოს ახალი პრემიერ-მინისტრი და ჩამოაყალიბოს კაბინეტი - მიუხედავად იმისა, რომ მიმდინარე კონსტიტუციური რეფორმის პირობებში ის აღმასრულებელ ძალაუფლებას მომავალ წლამდე შეინარჩუნებს," - წერს "ვაშინგტონ პოსტი". გამოცემის შეფასებით, ივანიშვილი კრემლის მარიონეტი არ არის, მაგრამ **"მას თითქოს არა აქვს შეთვისებული ისეთი დასავლური დემოკრატიული ღირებულებები, როგორიცაა ტოლერანტობა კრიტიკული მედიის მიმართ და ოპონენტებთან კომპრომისი."** როგორც "ვაშინგტონ პოსტი" წერს, არსებობს საფრთხე, რომ საქართველო უკრაინის გზას დაადგება.

"ეს ახალი რეჟიმი იხრება რუსული სტილის ავტოკრატიისკენ, რაც გავრცელებულია პოსტსაბჭოთა ევრაზიაში," - აღნიშნავს გამოცემა და დასძენს, რომ მიხეილ სააკაშვილმა დემოკრატიული მემკვიდრეობა დატოვა, შეერთებულმა შტატებმა და ევროკავშირმა კი უნდა მოითხოვონ, რომ ახალი რეჟიმი ამაზე დაფუძნდეს და აშენდეს.

თიბისი ბანკმა და იბიარდიმ ხელი მოაწერეს სასესხო ხელშეკრულებას 10 მილიონი აშშ. დოლარის ოდენობით

თიბისი ბანკმა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა (EBRD) დაასრულეს მუშაობა 10 მილიონი აშშ. დოლარის ოდენობის სასესხო ხელშეკრულებაზე კავკასიის ენერგო-ეფექტურობის პროგრამის(CEEP) ფარგლებში. ამ 5-წლიანი რესურსის საშუალებით ბანკი დააფინანსებს კორპორატიული, მცირე და საშუალო ბიზნეს კლიენტების ენერგო-ეფექტურობისა და განახლებადი ენერგიის პროექტებს.

European Bank
for Reconstruction and Development

იბიარდის კავკასიის ენერგო-ეფექტურობის პროგრამა შეიქმნა ჩვენ რეგიონში ფინანსური ინსტიტუტების დასაფინანსებლად, რადგან მათ შემდეგ შეძლონ სესხების გაცემა კერძო სექტორის ენერგოეფექტურობის და ენერგიის რაციონალურად გამოყენების მიზნით დაგეგმილ ინვესტიციებზე. 2007 წელს თიბისი ბანკმა 10 მილიონი აშშ. დოლარის ოდენობის იგივე ტიპის რესურსი პირველმა მიიღო ქართულ ბანკებს შორის და ეს უკვე მეორე ასეთი ტრანზაქციაა ჩვენი ბანკისთვის.

თურქეთი სირიას სამხედრო ოპერაციებით ემუქრება

პირველი გვერდიდან

გუშინწინ სირიის ტერიტორიიდან გასროლილი რაკეტა თურქეთის ქალაქ აქჩაკალეში (პროვინცია შანლიურფა) საცხოვრებელ სახლს მოხვდა, რის შედეგადაც დაიღუპა 5 ადამიანი, ხოლო 13 კი დაიჭრა. დაღუპულია მრავალშვილიანი დედა და მისი ოთხი ბავშვი. წვრილმანი ინციდენტები, კერძოდ, უწესრიგო და უმისამართო სროლა საზღვარზე ადრეც ყოფილა, მაგრამ აქამდე ამას მსხვერპლი არ გამოუწვევია. 3 ოქტომბრის შემთხვევა ყველაზე სერიოზულია. აქამდეც იყო მსხვერპლი, როდესაც ივნისში სირიის ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვამ თურქეთის სამხედრო-სადაზვერვო თვითმფრინავი ჩამოაგდო. ამას ორი პილოტი შეეწირა, მაგრამ მაშინ თურქეთმა პასუხისგან მაინც თავი შეიკავა. მიიღეს სირიის ბოდიში და, ეტყობა, ისიც გაითვალისწინეს, რომ თვითმფრინავმა შემთხვევით ცოტა ხნით გადაკვეთა ორი სახელმწიფოს საჰაერო საზღვარი. თუმცა სირიელებმა ის უკვე მაშინ ჩამოაგდეს, როცა საჰაერო საფრენი აპარატი მათ ტერიტორიას ტოვებდა.

მშვიდობიან მოსახლეობაში მსხვერპლი სულ სხვა დატვირთვას იძენს. თურქეთმა ამ საკითხის განსახილველად ნატო-ში საგანგებო სხდომის მოწვევა მოითხოვა, ასევე მკაცრი მოთხოვნით მიმართა გაერო-ს, აღკვეთონ სირიის აგრესია.

საერთაშორისო რეაქციამ არ დაყოვნა. სირიის ნაბიჯი დაგმეს ნატო-სა და გაერო-ს გენერალურმა მდივნებმა ანდერს ფოგ რასმუსენმა და ბან კი მუნმა; აგრეთვე, აშშ სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა, დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა უილიამ ჰეიგმა და გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა. თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ახმეტ დავუთოღლუ ელაპარაკა ლაჰდარ ბრაჰიმისაც, რომელიც გაერო-სა და არაბულ სახელმწიფოთა ლიგის შუამავალია სირიის საკითხებში.

სირიამ ოფიციალურად მოიხადა ბოდიში და მწუხარება გამოთქვა თურქეთის მოქალაქეების დაღუპვის გამო. მათ განაცხადეს, რომ აუცილებლად ჩაატარებენ საკუთარ გამოძიებას და გაარკვევენ, თურქეთის მიმართულებით ვინ და რატომ ისროდა. თუმცა სირიის ინფორმაციის მინისტრმა ომრან აზ-ზუაბიმ ისიც განაცხადა, რომ ორი ქვეყნის საზღვრის მიმდებარე ტერიტორიაზე ბევრი "ავტონომიური" შეიარაღებული ჯგუფი მოქმედებს. მათ შორის, ამ საზღვრის გავლითაც მარგდებიან სირიელი ამბოხებულები იარაღით. საეჭვოა ამ ჯგუფების რეალური მიზნები და ამოცანები. ამით სირიელმა მინისტრმა, ცხადია, თავი დაიზღვია და მიანიშნა, რომ, შეიძლება, ორ სახელმწიფოს შორის შეიარღებული კონფლიქტის გაღვივება სწორედ ამბოხებულების ინტერესებში შედიოდეს.

თურქეთის ხელისუფლება კი მაინც იქითკენ იხრება, რომ სროლა სირიის ოფიციალურ, პრეზიდენტ ბაშარ ასადის მიმართ ლოიალურ არმიას დააბრალოს. სულ ორიოდე დღის წინ სირიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვალიდ მუალემმა რამდენიმე სახელმწიფოს ბრალი დასდო სირიის საშინაო საქმეებში ჩარევასა და ამბოხებულების დახმარებაში; მათ შორის მოიხსენია აშშ, საფრანგეთი, თურქეთი, საუდის არაბეთი და კატარი.

თურქეთის მთავრობამ საკუთარ პარლამენტს სთხოვა საზღვარგარეთ (იგულისხმება - სირიაში) სამხედრო ოპერაციების ჩატარების ნებართვა, თუ ეს საჭირო იქნება სახელმწიფოს უსაფრთხოების დაცვისთვის. გუშინვე, ოპერატიულად, საგანგებო და დახურულ სხდომაზე პარლამენტმა არმიას ასეთი უფლება ერთი წლით მისცა. 2007 წელს პარლამენტმა თურქეთის არმიას მსგავსი უფლება მისცა ერაყთან მიმართებაში. თურქეთის არმია ამ უფლებას დღემდე იყენებს ქურთი ამბოხებულების დევნის ან ჩრდილოეთ ერაყში მათი ბაზების განადგურებისთვის. თუმცა თურქი სამხედროები ამ უფლებას არც დაელოდნენ და სირიაზე საპასუხო დარტყმა განახორციელეს. კერძოდ, არტილერიამ დაბომბა რადარებით გამოთვლილი რამდენიმე სამიზნე საზღვრიდან 10 კილომეტრის დაშორებით. განადგურებულია სირიის არმიის ორიოდე საყრდენი პუნქტი და დაღუპულია რამდენიმე სამხედრო მოსამსახურე.

გუშინვე გაიმართა ნატო-ს წევრი სახელმწიფოების სხდომა ელჩების დონეზე. ნატო-მ სრული მხარდაჭერა გამოუცხადა თურქეთს და განაცხადა, რომ სერიოზულად დააკვირდება სიტუაციას და საჭიროების შემთხვევაში უფრო გადამჭრელ ზომებსაც მიიღებს. თუმცა ამ ეტაპზე არ არის ლაპარაკი ნატო-ს წესდების მეხუთე მუხლის ამოქმედებაზე, რომელიც გულისხმობს კოლექტიურ პასუხს ალიანსის ერთ-ერთი წევრის მიმართ განხორციელებულ აგრესიაზე. ცხადია, რომ ამაში სრულმასშტაბიანი ომი იგულისხმება და ჯერ ასეთი საჭიროება არ არის.

გუშინ გვიან განცხადება გააკეთა თურქეთის პრემიერ-მინისტრმა რეჯებ ტაიპ ერდოღანმაც. მისი სიტყვებით თურქეთი ომის გაჩაღებას არ აპირებს მეზობელ სირიასთან, მაგრამ დაიცავს საკუთარ საზღვრებს და მოქალაქეებს. მან არავის ურჩია თურქეთის მოთმინების გამოცდა.

ბიზნესი

აშშ განათლებული მიგრანტების პოლიტიკას გადახედავს

თინა შავაძე

ეკონომისტი და წიგნის "მიგრაცია აშშ-ში" ავტორი ვივეკ ვადჰვა განმარტავს, თუ რატომ ველარ იზიდავს ქვეყანა ნიჭიერ ემიგრანტებს.

ბოლო 300 წლის განმავლობაში აშშ მზარდ ემიგრაციასთან ასოცირდებოდა: ყოველმა ახალმა ტალღამ შტატებში ჩაიტანა ახალი იდეები, ენერგია და კულტურა. ამის შედეგად, ეკონომიკური სასწაული მოხდა, რომელიც ცნობილია მთელ მსოფლიოში, როგორც ამერიკის შეერთებული შტატები. დემოკრატიული ღირებულებები და განვითარებული ეკონომიკა სულ უფრო მეტ ემიგრანტს იზიდავდა. მაგრამ ახლა საემიგრაციო პოლიტიკა შეიცვალა, მსოფლიოში კი განათლებული და ნიჭიერი უცხოელების კონკურენცია გაიზარდა.

აშშ-ში ყოველწლიურად ემიგრანტებისთვის მხოლოდ 140,000 მწვანე ბარათი გაიცემა. შტატების მოსახლეობა 10-ჯერ უფრო მეტია, ვიდრე ავსტრალიაში, რომელიც 126.000 ბარათს გასცემს.

კანადაში მყოფ ემიგრანტ ადამიანებს, რომლებსაც უმაღლესი განათლება ჯერ არ დაუმთავრებიათ, ქვეყანაში დარჩენა სამი წლის განმავლობაში, შუძლიათ. მთავრობამ ჩამოაყალიბა იდეალურ ემიგრანტთა სია, რომელშიც აღწერილია მათი ასაკი, განათლების დონე და გამოცდილება.

ჩინეთში შეიქმნა პროგრამა, რომლიც ექსპატების (სამშობლოდან იძულებით გადასახლებული ადამიანი) დაბრუნებას ისახავს მიზნად.

შედეგად, შტატები შეიძლება, მხოლოდ გაუნათლებელი მუშებისა და უკანონო ემიგრანტების ხელში დარჩეს, რომელთაც წასასვლელი არსად აქვთ. მაღალპროფესიონალი კადრები, რომლებზეც მთელ მსოფლიოში მოთხოვნა დიდია, თანდათან ტოვებენ ქვეყანას. ბიუროკრატიული პროცედურების გამო ემიგრანტები ღირსებაშელახულად გრძნობენ თავს.

ამერიკელი ექსპერტი ასკვნის, რომ დროა, შტატებმა უაღრესად განათლებული პროფესიონალებისთვის სავიზო რეჟიმი გაამარტივოს.

მსოფლიოს ძვირადღირებული ბრენდების ახალი სახეები

თინა შავაძე

მსოფლიოს 100 ყველაზე ძვირადღირებული ბრენდის რეიტინგებში, ამერიკული ბრენდ-კონსალტინგური სააგენტო Interbrend-ის ვერსიით, კვლავ Coca-Cola ლიდერობს. მისი ღირებულება 77,8 მილიარდ დოლარად შეფასდა.

გასულ წელს აღნიშნული სავაჭრო მარკის ღირებულება 8 პროცენტით გაიზარდა. ცნობილი სასმელი ამჟამად მსოფლიოს 200-ზე მეტ ქვეყანაში იყიდება.

მეორე ადგილზეა Apple-ი, რომლის ღირებულებაც ერთ წელიწადში მკვეთრად - 129 პროცენტით გაიზარდა და 76.6 მილიარდი დოლარი შეადგინა. შედარებისთვის: დანარჩენი ბრენდების შემთხვევებში ზრდა 10-20 პროცენტის ფარგლებშია.

მასშტაბური, 46%-იანი ზრდა აჩვენა Amazon-მა, Samsung-ი კი 40 პროცენტით გაიზარდა.

მესამე ადგილზეა ამერიკული IT-გიგანტი IBM 8-პროცენტიანი ზრდითა და 75,5 მილიარდი დოლარის შეფასებით.

მეოთხე და მეხუთე პოზიციებზე გადანაწილდნენ Google-ი და Microsoft-ი.

Google-მა პირველად დაიკავა მეოთხე ადგილი ყველაზე მსხვილი კომპანიების რეიტინგში და Microsoft-ს 2 მილიარდი დოლარით გაუსწრო - მისი ღირებულება 249,1 მილიარდი დოლარია.

Google-ის წარმატებას ექსპერტები ხსნიან "პოსტ-პერსონალური კომპიუტერების" ეპოქის დადგომით: ანალიტიკოსთა მტკიცებით, ყველაზე პერსპექტიულები ის კომპანიები არიან, რომლებიც ფსონს უფრო მობილურ მოწყობილობებზე დებენ.

მეექვსე ადგილზეა General Electric - ერთ-ერთი ყველაზე ძველი ბრენდი და ტექნიკის უმსხვილესი მწარმოებელი.

მეშვიდეა რეიტინგის პირველი ოცეულის ერთადერთი "საკვები" ბრენდი McDonald's - იგი 40 მილიარდად შეაფასეს.

Intel-ი მერვეა, მას მოსდევს Samsung-ი და Toyota. შემდეგია Mersedes-Benz და BMW.

რეიტინგის "ახალი სახეა" ავტომობილების მწარმოებელი Kia. მის გარდა, სიაში პირველად მოხვდნენ Pampers, Facebook, Prada, Ralph Lauren და MasterCard.

აშშ-რუსეთის ახალი "ჯაშუშური სკანდალი"

ამერიკის სამართალდამცავმა ორგანოებმა, რომლებიც რუსეთის თავდაცვის უწყებისათვის ამერიკული მაღალტექნოლოგიური აღჭურვილობის უკანონოდ მიწოდებას იძიებენ, "ჯაშუშთა სკანდალის" ახალი დეტალების შესახებ ინფორმაცია გაავრცელეს. მათი მონაცემებით, "სამი სავარაუდო რუსი ჯაშუში" ამ დროისათვის უკვე რუსეთის ტერიტორიაზე იმყოფება. "სერგეი კლინოვი, იური სავინი და დმიტრი შეგუნოვი დაპატიმრებულნი არ არიან და, როგორც ვიცით, რუსეთში იმყოფებიან," - აღნიშნა ბრუკლინის პროკურორის პრესმდივანმა რობერტ ნარდოზმა. კლინოვმა ეს ინფორმაცია თავად დაადასტურა, "ინტერფაქსთან" საუბრისას განაცხადა, რომ ნამდვილად მოსკოვში იმყოფება, თუმცა სხვა სახის კომენტარისაგან თავი შეიკავა.

ცოტა ხნის წინ ცნობილი გახდა, რომ რუსეთისათვის სამხედრო ტექნოლოგიის არაკანონიერ ექსპორტში 11 ეჭვმიტანილი გამოავლინეს. ზემოთ ჩამოთვლილი პირების გარდა, ამ საქმეში ეჭვმიტანილნი არიან ალექსანდრ ფიშენკო, ალექსანდრ პოსობილოვი, ვიქტორ კლებანოვი, შავკატ აბდულაევი, ლიუდმილა ბაგდიკიანი, ანასტასია დიატლოვა, სევინ ტაგიევი და სვეტლანა ზაგონი. აღნიშნული რვა "რუსი ჯაშუში" უკვე დაკავებულია. ისინი ჰიუსტონის სასამართლოს წინაშეც წარდგნენ. მოგვიანებით განცხადება რუსეთის დიპლომატიურმა უწყებამაც გაავრცელა. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის სერგეი რიაბკოვის თქმით, ამერიკის პროკურატურის ბრალდებას რუსეთის რამდენიმე მოქალაქის წინააღმდეგ დაზვერვასთან არავითარი კავშირი არ აქვს. საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის თქმით, რუსი დიპლომატები ამერიკის მიერ ჯაშუშობაში ეჭვმიტანილებთან შეხვედრას გამართავენ. როგორც გუშინ გახდა ცნობილი, ბრუკლინის პროკურატურამ 11 ადამიანი რუსეთისათვის სამხედრო ტექნოლოგიის უკანონოდ ექსპორტში ეჭვმიტანილად გამოაცხადა.

ფილიპინების ექს-პრეზიდენტს სამუდამო პატიმრობა ემუქრება

სასამართლომ ქვეყნის ყოფილი პრეზიდენტის გლორია არროიოს დაპატიმრების ორდერი გასცა. მას ეროვნული ლატარეის ფონდების მიტაცება ბრალდება. ეს მის წინააღმდეგ წამოწყებული ერთადერთი საქმე არ არის. ივლისში მან მოახერხა გირაოს გადახდა და სახლში დაბრუნება მას შემდეგ, რაც 7 თვე, ნახევრად პატიმრობაში მყოფი, სამხედრო ჰოსპიტალში მკურნალობდა. იგი დაკავებული იყო არჩევნების ფალსიფიკაციის ბარალდებით. მას ბრალდება აგრეთვე კორუფციულ გარიგებაში მონაწილეობა, ჩინური ინტერნეტ-კომპანიის მსხვილი კონტრაქტის გადახედვისას. ამჯერად ქალბატონი არროიო ციხისთვის თავის დაღწევას, სავარაუდოდ, ვერ მოახერხებს. ფილიპინებში მოქმედი კანონით, ფულის მიტაცებაში ბრალდებულების გირაოთი გათავისუფლება არ შეიძლება. გლორია არროიოს, რომელიც ქვეყნის პრეზიდენტი იყო ორი ვადით, 2001-დან 1010 წლამდე, სამუდამო პატიმრობა ემუქრება.

ინგუშეთში 4 პოლიციელი მოკლეს

ინგუშეთში შეიარაღებულ მებრძოლებთან შეტაკების შედეგად ოთხი პოლიციელი დაიღუპა. დაჭრილია ორი სამართალდამცავი. აღნიშნულის შესახებ "ინტერფაქსს" რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა განუცხადა. მისი თქმით, რვა პოლიციელი, შესულ ოპერატიულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, სოფელს ამოწმებდა: "პოლიციელებზე საფარიდან თავდასხმა განახორციელეს. თავდამსხმელი შეიარაღებული მებრძოლების რაოდენობა უცნობია. თავდასხმის შემდეგ ყველა მებრძოლმა შეძლო მიმალვა." შეიარაღებულ მებრძოლებსა და ძალოვანებს შორის ინგუშეთში შეტაკებები ხშირად ხდება. 18 სექტემბერს სამართალდამცავი უწყების წარმომადგენლებმა ხუთი შეიარაღებული მებრძოლი მოკლეს.

კოლუმბიის პრეზიდენტს ოპერაცია გაუკეთეს

პრეზიდენტ ხუან მანუელ სანტოსს წარმატებით ამოკვეთეს პროსტატის სიმსივნე. ამის შესახებ მისმა უროლოგმა ფელიპე გომესმა განაცხადა. ექიმის სიტყვებით, პრეზიდენტი უკვე რეაბილიტაციის კურსს გადის. ორ ოქტომბერს მედიაში გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ხუან მანუელ სანტოსს პროსტატის სიმსივნის დიაგნოზი დაუსვეს და ოპერაციაც დაგეგმეს. პრეზიდენტმა თვითონ გააკეთა კომენტარი და თქვა, რომ მას სიმსივნე ადრეულ სტადიაზე აღმოუჩინეს და აქვს მისი მთლიანად ამოკვეთის ყველა შანსი.

ალექსეევა პრეზიდენტის საბჭოში დაბრუნებას არ აპირებს

მოსკოვის ჰელსინკის ჯგუფის ხელმძღვანელი ლიუდმილა ალექსეევა ადამიანის უფლებათა დაცვის პრეზიდენტის საბჭოში დაბრუნებას არ აპირებს. "მე მათ წარმატებას ვუსურვებ, თუმცა არ დავბრუნდები. არ მესმის, მათ რაში ვჭირდები," - აღნიშნა ალექსეევამ "ინტერფაქსთან" საუბრისას. დღეს საბჭოს წევრებმა გადანყვიტეს, ალეექსეევას საბჭოში დაბრუნებისათვის მხარი დაეჭირათ.

მწვავე დებატების პირველი რაუნდი

პირველი გვერდიდან

პირველი და ურთულესი რაუნდი, რომელსაც ცნობილი ჟურნალისტი ჯიმ ლერერი უძღვებოდა, პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა. ვერბალურ დუელს 200 მილიონამდე მაყურებელი ადევნებდა თვალს.

კენჭისყრით სიტყვა პირველად მოქმედ პრეზიდენტს ერგო, რომელმაც შესავალი არა ამომრჩევლებისადმი და პოლიტიკური კონკურენტისადმი, არამედ პირველი ლედისადმი მიმართვით დაიწყო. დემოკრატების კანდიდატმა და ერთგულმა მეუღლემ დარბაზში მყოფ მიშელ ობამას ქორწინების 20 წლისთავი მიულოცა. ამის შემდეგ კი ნამდვილი, ცხარე და უკომპრომისო დებატები დაიწყო.

ბარაკ ობამა და მიტ რომნი საათ-ნახევრის განმავლობაში ამერიკის შეერთებული შტატების საშინაო პოლიტიკასა და ეკონომიკაზე კამათობდნენ. განსაკუთრებულად მწვავე თემები ეკონომიკა, სახელმწიფო ვალები, საგადასახადო სისტემა, ჯანდაცვისა და განათლების რეფორმა აღმოჩნდა. მოქმედმა პრეზიდენტმა მთავარ პრიორიტეტებად მომავალი ოთხი წლის განმავლობაში ხელმისაწვდომი განათლება და ჯანდაცვა დაასახელა. **"ბატონი რომნი მიიჩნევს, რომ თუ გადასახადებს შევუმცირებთ მდიდრებს და მარეგულირებელ წესებს გავაუქმებთ, მდგომარეობას გამოვასწორებთ. მე კი მისგან განსხვავებული ხედვა მაქვს. ვფიქრობ, რომ ინვესტიციები განათლებასა და სპეციალისტების მომზადებაში უნდა ჩაიდოს. თქვენ ამბობთ, რომ გადასახადებს 5 ტრილიონი დოლარით შეამცირებთ და თავდაცვის ბიუჯეტს 2 მილიარდით გაზრდით. ამასთან, სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის შემცირების პირობასაც იძლევით. საინტერესოა, როგორ აპირებთ დეფიციტის შემცირებას სახელმწიფო ხარჯების გაზრდით? ეს ხომ ტყუილი დაპირებაა? სამართლიანი იქნება ის, რომ მსხვილმა ბიზნესმა უფრო მეტი გადაიხადოს, ვიდრე ჩვეულებრივმა ამერიკელმა,"** - განაცხადა ბარაკ ობამამ.

ობამას ოპონენტმა რომნიმ კი მთავრობის მთავარ ამოცანად სავაჭრო სექტორის მხარდაჭერა და ეკონომიკური მაჩვენებლების ზრდა დასახა. რესპუბლიკელთა კანდიდატმა თეთრი სახლის მოქმედი ადმინისტრაცია არაეფექტიანი ეკონომიკური რეფორმების გატარებასა და მსხვილ ბიზნესზე გადაჭარბებული რეგულაციების დაწესებაში დაადანაშაულა. გარდა ამისა, მიტ რომნი საგარეო პოლიტიკის სფეროსაც შეეხო და განაცხადა, რომ სწორედ, ბარაკ ობამას პრეზიდენტობისას დაკარგა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საერთაშორისო ასპარეზზე ლიდერის პოზიცია. **"ვეთანხმები პრეზიდენტს იმაში, რომ განათლების სისტემაში ინვესტიციები უნდა ჩაიდოს, თუმცა ჩვენ სერიოზული პრობლემები გვაქვს სავაჭრო სექტორში და ეს პრობლემები აუცილებლად უნდა მოვაგვაროთ. საგადასახადო შეღავათები უნდა დაუწესდეს ყველა ამერიკელს და ეს ამერიკის საბიუჯეტო დეფიციტს ნამდვილად არ გაზრდის. ამერიკის ეკონომიკის განვითარებას მნიშვნელოვნად აფერხებს გადამეტებული რეგულაციები და პრეზიდენტ ობამას მიერ ინიცირებული კანონი, რომელიც უოლ სტრიტს მკაცრ კონტროლს უწესებს. პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში ამომრჩეველს ვპირდები, რომ ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი მოიმატებს და კიდევ ერთი: თავდაცვის ბიუჯეტის არანაირი შემცირება არ მოხდება. ქვეყნის თავდაცვის სისტემა უნდა იყოს ძლიერი და შეერთებულმა შტატებმა მსოფლიოში ლიდერი ქვეყნის პოზიცია უნდა დაიბრუნოს,"** - აღნიშნა მიტ რომნიმ.

ტრადიციისამებრ, რადგან პირველი სიტყვის პატივი დემოკრატ კანდიდატს ერგო, დებატები რესპუბლიკელმა მიტ რომნიმ დაასრულა. უმწვავესი დებატების პირველი რაუნდის შემდეგ პოლიტიკურმა მეტოქეებმა ერთმანეთს ხელი ჩამორთვეს და დროებით დაემშვიდობნენ.

დენვერის უნივერსიტეტში გამართული დებატების შემდეგ სოციოლოგიური გამოკითხვაც ჩატარდა მოსახლეობაში და როგორც აღმოჩნდა, მიტ რომნიმ, რომელსაც ანალიტიკოსები რაფინირებულ ტონს უწუნებდნენ, ელექტორატის სიმპათია მაინც მოიპოვა. სიტყვიერი დუელის შემდეგ რესპუბლიკელმა კანდიდატმა მაყურებელთა 46 პროცენტის მოწონება დაიმსახურა, ობამას გამოსვლით კმაყოფილი კი მხოლოდ 45 პროცენტი დარჩა. წინასაარჩევნო დებატების მეორე რაუნდი 16 ოქტომბერს ჰემსტედში გაიმართება.

ირანში კურსის ვარდნას აპროტესტებენ

თეირანში მოხდა შეტაკება პოლიციასა და დემონსტრანტებს შორის, რომლებიც ირანის ეროვნული ვალუტის - რიალის კურსის მკვეთრ დაცემას აპროტესტებდნენ.

ხალხის დასაშლელად, რომლებმაც დაწვეს ავტომანქანების საბურავები და ნაგვის ბუნკერები, პოლიციამ ცრემლსადენი გაზი გამოიყენა. ვრცელდება ცნობები პროტესტის მონაწილეების ფართომასშტაბიან დაპატიმრებებზეც.

თვითმხილველების განცხადებით, ირანის ცენტრალურ ბანკთან შეიკრიბა ხალხი, რომელიც ბანკის მმართველის გადადგომას ითხოვდა და ანტისამთავრობო ლოზუნგებს სკანდირებდა. პოლიციამ დაარბია ბანკთან შეკრებილები, რომელთა უმეტესობა ვალუტის გადამცვლელი პუნქტების თანამშრომლები იყვნენ.

პროსტესტი მოჰყვა იმ ფაქტს, რომ ბოლო დღეებში რიალის კურსი დოლართან მიმართებაში რეკორდულად დაეცა, რამაც მოსახლეობის უკმაყოფილება გამოიწვია. თვითმხილველების თქმით, «გრანდ-ბაზარში» ბევრმა მაღაზიამ ვაჭრობა შეწყვიტა, რათა დემონტრანტების მიმართ თავისი მხარდაჭერა დაეფიქსირებინა.

მოვაჭრეები უკმაყოფილონი არიან იმით, თუ როგორ რეაგირებს ხელისუფლება არსებულ კრიზისზე. ისინი მიიჩნევენ, რომ სწორედ ხელისუფლების არასწორი პოლიტიკის გამო მერყეობს კურსი, რის გამოც ვაჭრობა თითქმის შეუძლებელი ხდება. თეირანში გავრცელდა ხმებიც, რომ შესაძლოა, მოვაჭრეებმა, რომლებიც პრეზიდენტ აჰმადინეჯადის ოპონენტები არიან, დემონსტრაცია იმისთვის მოაწყვეს, რომ იგი ხელისუფლებას ჩამოაშორონ. ამის შესახებ ინფორმაციას "ბი-ბი-სი" ავრცელებს. თეირანის ბაზრის მოვაჭრეების პროფკავშირული გაერთიანების ხელმძღვანელის აჰმად კარიმიესფაჰანის განცხადებით, მაღაზიები არ მუშაობდნენ, რადგან საპროტესტო აქციების დროს მათ მფლობელებს მაღაზიების გახსნის ეშინიათ. მაგრამ მას სჯერა, რომ უახლოეს დღეებში ისინი მუშაობას განაახლებენ.

თავდაპირველად აქცია ბაზრის წინ უკმაყოფილო ადამიანების პატარა ჯგუფმა გამართა, რომელსაც შემდეგ რამდენიმე ათეული ადამიანი შეუერთდა. ირანის პოლიციის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ ადამიანების პატარა ჯგუფი ბაზრის წინ მართავდა საპროტესტო აქციას და დასძინა, რომ ბაზარი, მიუხედავად ამისა, არ დახურულა. ვრცელდება ინფორმაცია, რომ ასობით პოლიციელი მონაწილეობდა ოპერაციაში, რომლის დროსაც დედაქალაქის ვალუტის გადამცვლელი არალეგალური პუნქტების თანამშრომლები დააპატიმრეს.

ირანის პრეზიდენტმა მაჰმუდ აჰმადინეჯადმა განაცხადა, რომ რიალის კურსის ვარდნა იმ სანქციების ბრალია, რომელიც დასავლეთმა მათ დაუწესა. ის ვარაუდობს, რომ სანქციების მასშტაბი სავაჭრო ომში გადაიზარდა. თუმცა ზოგიერთი ირანელი ქვეყნის ფინანსების არაკომპეტენტურად მართვაში თავად მას ადანაშაულებს.

აშშ-ს ოფიციალური პირები ამტკიცებენ, რომ ირანული ვალუტის კურსის ვარდნა ეკონომიკური სანქციების წარმატების ნათელი დადასტურებაა. ეს სანქციები აშშ-მ, ევროკავშირმა და რიგმა სახვა სახელმწიფოებმა დაუწესეს ირანს, იმ მიზნით, რომ როგორმე უარი ათქმევინონ ბირთვულ პროგრამაზე.

ირანის ზოგიერთი კონსერვატიული ანალიტიკოსი კურსის ვარდნას ქვეყანაში ნავთობის ექსპორტისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის შემცირებას უკავშირებს. ამასთან ერთად, დეპუტატების გარკვეული რაოდენობა ღიად აკრიტიკებს ხელისუფლებას და ბრალს დებს არაეფექტურ მუშაობაში. «ის ფაქტი, რომ ვალუტის კურსი არ მცირდება, მიუხედავად ვალუტის გაცვლის ცენტრის ფორმირებისა, ბაზარზე მიწოდების და მოთხოვნის სისტემის არაეფექტურობას გვიჩვენებს," - განაცხადა პარლამენტის დეპუტატმა და ბიუჯეტის დაგეგმვის კომიტეტის წევრმა ჰადი კავამიმ.

"ბი-ბი-სი"-ს სპარსული სამსახურის ბიზნესის კორესპონდენტი ამირ პაივარი მიიჩნევს, რომ სანქციების შედეგად ირანმა ნავთობის ვაჭრობიდან დაკარგა თავისი შემოსავლების 45 პროცენტი, რის შედეგადაც ირანის სავალუტო რეზერვი მკვეთრად შემცირდა. ის აღნიშნავს, რომ ირანის ხელისუფლება ნავთობის ვაჭრობიდან მიღებულ შემოსავლებს მრავალი წლის განმავლობაში რიალის კურსის ხელოვნურად შესანარჩუნებლად იყენებდა. პაივარის განცხადებით, ირანის ხელისუფლებას და ცენტრალურ ბანკს არ შეუძლიათ ზუსტად გაერკვნენ, როგორი რეაგირება უნდა მოახდინონ ნავთობით ვაჭრობიდან მიღებული შემოსავლების შემცირებაზე. მისი განცხადებით ვალუტის კურსის შენარჩუნებამ რიალი იმ ზომამდე მიიყვანა, რომ ახლა ის აფეთქების პირას დგას. "კრიზისის დროს პრეზიდენტ აჰმადინეჯადის ხელისუფლება პარალიზებულია არაეფექტურობის, ცუდი მართვისა და ხელისუფლების შიგნით ძალაუფლებისთვის ბრძოლების გამო," - განაცხადა კორესპონდენტმა.

ბი-ბი-სის მიხედვით
მოამზადა
სალომე ჯანიაშვილმა

პიკასოს პიესა გუგენჰაიმის მუზეუმში



გენიალური მხატვარი პაბლო პიკასო, სხვადასხვა მიმდინარეობის უამრავ ნამუშევართან ერთად, ლიტერატურილ ნაწარმოებთა ავტორიცაა. ლექსებთან ერთად, მის კალამს ეკუთვნის ორი სიურრეალისტური პიესა, რომელიც მხატვარმა პარიზში, მეორე მსოფლიო ომის წლებში შექმნა და თანამედროვეთა ინტერესიც დაიმსახურა. პიესები 1941 და 1944 წლებში დაიწერა და როგორც გამომცემლები ამბობენ, მათ შექმნაზე გავლენა ომით გამოწვეულმა მდგომარეობამ იქონია - პიკასოსთვის, ისევე როგორც მისი თანამედროვე ხელოვანებისათვის, ომით გამოწვეული რეალობა გარკვეული ინსპირაციის წყაროც იყო.

პაბლო პიკასოს პიესები ნაკლებადაა ცნობილი თვით ყველაზე თავგადაკლულ მკითხველთა შორის, უცნაურია, რომ ლიტერატურის ისტორიას ისინი ყურაღების მიღმა დარჩა, მაშინ, როცა ეს ტექსტები, პირდაპირი გაგებით, წარმოადგენს კუბიზმს ლიტერატურაში და აბსურდის ისეთ ელემენტებს შეიცავს, ბეკეტიც კი უსუსურია მასთან. გაკვირვებას ისიც იწვევს, რომ ისინი დაწერილია 40-იან წლებში და არა 60-იანში, ლიტერატურული ფორმების ექსპერიმენტების ხანაში.

პიესა, სახელწოდებით "კუდით დაჭერილი სურვილი", 14 და 15 ოქტომბერს ნიუ იორკში, გუგენჰაიმის მუზეუმში იქნება წარმოდგენილი ლიტერატურული დადგმის სახით, სადაც დღეს მხატვრის შავ-თეთრი ნამუშევრების გამოფენა იხსნება.

ეს უსიუჟეტო, სიურრეალისტური პიესა პიკასომ ოთხ დღეში დაწერა, ავადმყოფობის ჟამს. პიესაში აღწერილი მოქმედების გადმოცემა შეუძლებელია, რადგან ეს ერთმანეთისაგან დაუკავშირებელ ამბებს წარმოადგენს და აგებულია სიტყვათა თამაშზე, არაორდინალურ სახეებსა და გმირებზე. მაგალითად, აქ შეხვდებით გმირებს, სახელად მსხვილტერფას და ბოლომრგვალას, ხახვსა და მსუქან განგაშს, ასევე სამარხვო განგაშს, ფარდებს, სიჩუმეს. ხოლო მათი რეპლიკები ბიბლიური "ქება ქებათას" გათამაშებას წარმოადგენს.

მხატვრის ლიტერატურულ ექსპერიმენტებში ასახვა ჰპოვა ომით გამოწვეულმა შიმშილმა და გათბობის მოშლილმა სისტემამ. საზოგადოების სიდუხჭირის საჩვენებლად კი ავტორმა პიესაში დამოუკიდებელ გმირებად შემოიყვანა ადამიანის ფეხის ტერფები, რომლებიც იმეორებენ ფრაზას: "ჩემი გაყინული თითები"...

თანამედროვენი ასევე აღნიშნავენ, რომ პიკასოს ლიტერატურულ შემოქმედებაზე გავლენა მოახდინეს მისმა მეგობარმა პოეტებმა გიიომ აპოლინერმა და მაკს ჟაკობმა. თუმცა, ვერავინ იტყვის, რატომ გადაწყვიტა მხტვარმა, ფუნჯი გადაედო და საკუთარი განწყობა თუ შთაბეჭდილება არა ფერითა და ხაზებით, არამედ სიტყვებით გადმოეცა. მთავარი ისაა, რომ ისინი, ისევე როგორც მხატვრის სურათები, აბსოლუტურად არავის ჰგავს. დადაისტებისა და სიურრეალისტების კვლადაკვალ პიკასო თავის განსაკუთრებულ თეატრს ქმნის, სადაც მნიშვნელობა არ აქვს მოქმედების ადგილს და რაობას. მოქმედება თავისუფალია ყოველგვარი ფსიქოლოგიური და თეატრალური პირობითობებისგან. სცენაზე იქმნება ტოტალური და გულუბრყვილო ანარქია, რომელიც საერთოდ აცლის არსს სასცენო ხელოვნების იდეას. შეძლო და ამგვარად "დასცინო" თეატრს (ისევე როგორც, მხატვრობას), ალბათ მხოლოდ პიკასოს შეეძლო.

გუგენჰაიმის მუზეუმში პიესის დადგამს თეატრისა და ოპერის რეჟისორი ენ ბოგარტი, ამავე დროს, კითხვაში მონაწილეობას მიიღებს მხატვრის შვილიშვილი დიანა პიკასო, რომელიც ერთ-ერთი გმირის ტექსტს წაიკითხავს.

როგორც გაზეთ The Guardian-ში ვკითხულობთ, პიესა "კუდით დაჭერილი სურვილი" საფრანგეთის პუბლიკის წინაშე პირველად 1944 წელს წარდგა, მისი დადგმა ალბერ კამიუმ განახორციელა და მასში თვითონ ავტორიც მონაწილეობდა.

ამის შემდეგ პიკასომ მეორე პიესა "ოთხი პატარა გოგონა" დაწერა, რომელსაც პარიზის პუბლიკა ასევე მოწონებით შეხვდა. აქ წარმოდგენილი უსახელო, 1-დან 4-მდე დანომრილი გოგონები ქმნიან სამყაროს, ჩამოქნილს რომ უწოდებენ. მათ რეპლიკებში კი აზრის მოძებნას ნურც შეეცდებით, ვერ იპოვით.

სამწუხაროდ, ქართულ ენაზე პიესის თარგმანები არ მოგვეპოვება. რუსულადაც კი, რაზედაც ქართველი მთარგმნელები აკეთებდნენ ხოლმე სწორებას, პიკასოს ლიტერატურული შემოქმედება 2009 წელსღა ითარგმნა და გამოიცა.

საქართველო ფრანკფურტის წიგნის საერთაშორისო ფესტივალზე

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით და საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის ორგანიზებით წელსაც, ისევე როგორც წინა წლებში საქართველო ეროვნული სტენდით და ორი პრეზენტაციით წარსდგება ფრანკფურტის წიგნის საერთაშორისო ბაზრობაზე.

ფრანკფურტის წიგნის ბაზრობა, რომელსაც 500-წლიანი ისტორია აქვს, მსოფლიოში უდიდესი წიგნის ბაზრობაა, რომელშიც ყოველწლიურად ათასობით გამომცემელი და ლიტერატურული აგენტი იღებს მონაწილეობას და წარმოადგენს ასიათასობით დასახელების წიგნს.

საქართველოს მონაწილეობას აღნიშნულ ბაზრობაზე ქართული წიგნისა და ლიტერატურის განვითარების და ზოგადად ქართული კულტურის პოპულარიზაციის საქმეში დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

წელს დაგეგმილია ორი პრეზენტაცია: 1. ფორუმ დიალოგის ფორმატის ფარგლებში ქართველი ქალი ავტორების (ანა კორძაია-სამადაშვილი, ნენე კვინიკაძე, ნინო ხარატიშვილი) ნაწარმოებების კითხვა გერმანულ ენაზე 2. საქართველოს ეროვნულ სტენდთან უცხოელი გამომცემლებითვის და ლიტერატურული აგენტებისთვის "ქართული ლიტერატურის ხელშეწყობის პროგრამის პრეზენტაცია".

ამასთანავე, დაგეგმილია რიგი შეხვედრები წამყვანი გერმანული და ბრიტანული გამომცემლობების წარმომადგენლებთან.

ქართული დელეგაცია ფრანკფურტში 9 ოქტომბერს მიემგზავრება. ბაზრობა 10-დან 15 ოქტომბრამდე გაგრძელდება.

ფრანკფურტის ბაზრობაში მონაწილე გამომცემლობებია: "ბაკმი", "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა", დიოგენე", ინტელექტი", ქარჩხაძის გამომცემლობა", ლოგოს პრესი", "პალიტრა L", "მერიდიანი", საქართველოს მაცნე", "სიესტა", "ზებრა ჯგუფი".

პრემიერა ოპერის თეატრისგან

თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სოლისტები, გუნდი და სიმფონიური ორკესტრი 13 ოქტომბერს 19 საათზე კონსერვატორიის დიდ დარბაზში კონცერტს გამართავენ.

კონცერტის პროგრამა მრავალფეროვანია. უწინარესად, აღსანიშნავია პრემიერა - პირველად შესრულდება კომპოზიტორ ირაკლი ცინცაძის კანტატა ოთხი სოლისტის, შერეული გუნდისა და სიმფონიური ორკესტრისთვის. კანტატა ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსებზეა შექმნილი 2007 წელს. მთავარ პარტიებს შეასრულებენ თეატრის სოლისტები - ირინე თაბორიძე (სოპრანო), ირინე ალექსიძე (მეცო-სოპრანო), არმაზ დარაშვილი (ტენორი), გოჩა დათუსანი-ჯიღაური (ბანი).

კონცერტის მეორე განყოფილება კი ცნობილ საოპერო ჰანგებს დაეთმობა. თეატრის სოლისტი ელენა პუტილოვა (მეცო-სოპრანო) იმღერებს არიებს როსინის, დონიცეტის, ვერდის, სენ-სანსის, ბიზეს, მასკანის, ჩილეას უკვდავი ოპერებიდან.

კონცერტს წარუძღვება იტალიელი დირიჟორი ჯანლუკა მარჩიანო. **24 საათი**

მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი თელავში

2012

ოქტომბერი

18/10/12 - 19.00

კამერული მუსიკის კონცერტი

მონაწილეობენ: ელისო ვირსალაძე, ნატალია გუტმანი, ინგოლფ ტურბანი, ედუარდ ბრუნერი, ნოდარ ჟვანია, გია ქობულაშვილი, მიხეილ ქართველიშვილი, იანგ-ჯი ბაეკი, ჯააკო ლუომა, ზორა სლოკარი

პროგრამაშია: მოცარტი - დივერტისმენტი KV 229 სი ბემოლ მაჟორი

მოცარტი - კვინტეტი #K452 მი ბემოლ მაჟორი

ბეთჰოვენი - სეპტეტი თხზ.20 სიმებიანი და ჩასაბერი ინსტრუმენტებისათვის

20/10/12 - 19.00

კამერული მუსიკის საღამო

მონაწილეობენ: ელისო ვირსალაძე, ინგოლფ ტურბანი, ნატალია გუტმანი, ნოდარ ჟვანია, მარია კაგანი

პროგრამაშია: ბრამსი - საფორტეპიანო კვინტეტი ფა მინორი

21/10/12 - 19.00

ფესტივალის დასკვნითი კონცერტი

მონაწილეობენ: საფესტივალო სიმფონიური ორკესტრი დირიჟორი - ანატოლი ლევინი

სოლისტები: ელისო ვირსალაძე, ლუკას ნიკოლაი ბლაჰერი ედუარდ ბრუნერი, გია ქობულაშვილი, ჯააკო ლუომა, ზორა სლოკარი

პროგრამაშია: მოცარტი - სინფონია კონჩერტანტე შოპენი - კონცერტი ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის #1 მი მინორი

შუმანი - კონცერტი ვიოლინოსა და ორკესტრისათვის

ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲚᲔᲥᲪᲘᲔᲑᲘ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐᲨᲘ

10 ოტომბერი, 18 სთ.
ანდრონიკაშვილი ზაალი, ლიტერატურათმცოდნე, ილიას უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
მოხსენება: "ხალხთა სტუმართმოყვარეობა: ეთნიკური ნაციონალიზმის გენეალოგია"

17 ოქტომბერი, 18 სთ.
გიგინეიშვილი ლევანი, მედიევისტი, ილიას უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
მოხსენება: «სოკრატე და პოლიტიკა».

24 ოქტომბერი, 18 სთ.
ბექა მინდიაშვილი, თეოლოგი, სახალხო დამცველის ოფისთან არსებული ტოლერანტობის ცენტრის ხელმძღვანელი
მოხსენება: «ეკლესიის ძალაუფლება».

31 ოქტომბერი, 18 სთ.
ლევან აბაშიძე, თეოლოგი, ფიზიკოსი
მოხსენება: «ქრისტიანული სარწმუნოება და თანამედროვე მეცნიერება».

7 ნოემბერი, 18 სთ.
ჯავახია ბეჟან, მედიევისტი, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. უნივერისტეტის სრული პროფესორი
მოხსენება: «რომის იდეა შუა საუკუნეების საქართველოში»

14 ნოემბერი, 18 სთ.
გია ნოდია, პოლიტოლოგი, ილიას უნივერსიტეტის სრული პროფესორი
მოხსენება: «სეკულარიზაცია თუ დესეკულარიზაცია: თანამედროვე ტენდენციები»

21 ნოემბერი, 18 სთ.
გაბრიელე ბრაგანტინი, მღვდელი, სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი
მოხსენება: «მე-13 საუკუნე: ეკლესიათა გაერთიანების მცდელობა»

28 ნოემბერი, 18 სთ.
ცოფურაშვილი თამარ, ფილოსოფოსი, ასოცირებული პროფესორი, ილიას უნივერსიტეტის ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
მოხსენება: «ქრისტიანობა, როგორც თანასწორობის რელიგია»

5 დეკემბერი, 18 სთ.
გიგა ზედანია, ფილოსოფოსი, სრული პროფესორი
ილიას უნივერსიტეტის მოდერნულობის შესწავლის ინსტიტუტის დირექტორი
მოხსენება: "სტუმართმოყვარეობის პრაქტიკები: ფილოსოფია, რელიგია, ლიტერატურა"

12 დეკემბერი, 18 სთ.
გიორგი სანიკიძე, აღმოსავლეთმცოდნე, სრული პროფესორი
ილიას უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორი
მოხსენება: «ისლამი, სეკულარიზმი და ვესტერნიზაცია»

19 დეკემბერი, 18 სთ.
თამარ პატარიძე, ასიროლოგი
ლუვენის კათოლიკური უნივერსიტეტი
მოხსენება: «სირიული ეკლესიები: ისტორიული და თანამედროვე კონსტექსტი»

26 დეკემბერი, 18 სთ.
თემურ ბუაძე, თეოლოგი
თბილისის სასულიერო აკადემიის პროფესორი
მოხსენება: «ღმერთის იდეა ანტიკურ სამყაროში»

მოდერატორი:
დავით თინიკაშვილი
ილიას უნივერსიტეტის დოქტორანტი

ᲞᲠᲝᲕᲘᲜᲪᲘᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲠᲔᲞᲠᲔᲖᲔᲜᲢᲐᲪᲘᲐ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

მომხსენებელი - გიორგი მაისურაძე და მოდერატორი დავით თინიკაშვილი

მაშინ რადიო "თავისუფლებასთან" საუბრისას ის აღნიშნავდა, რომ სათაურში იგულისხმება არა ვიღაცის დიქტატურის შედეგი, არამედ საზოგადოების სურვილი, ჩაიკეტოს საიმედოდ, რადგან ასე უფრო კომფორტულია და როგორც ყოველთვის, მოთმინებით დაელოდოს ბელადს, გნებავთ, მესიას: "სათაური გულისხმობს იმას, რომ არა ვიღაცამ ჩაგვკეტა, არამედ ჩვენ თვითონ ვიკეტავთ ჩვენს თავს. მისი დარაჯები კი არის ის გარემო, რომელიც არ აძლევს საშუალებას გაიხსნას. ეს იმის ნიშანია, რომ ჩვენ საკუთარი ნებით ვერ გამოვდივართ პროვინციული მდგომარეობიდან. ამ პროვინციალიზმის ნიშანია, რომ ვიღაც დიდი, მესია უნდა მოგვევლინოს."

3 ოქტომბერს კი საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მესამე კორპუსის საკონფერენციო დარბაზში ჩატარებულ საჯარო ლექციაზე გიორგი მაისურაძემ სწორედ პროვინციალიზმის შესახებ ისაუბრა. "პროვინციალიზმი: კულტურული სემანტიკა და სოციალური რეპრეზენტაციები" - მოხსენება არა მხოლოდ ქართული კონტექსტის ანალიზს მოიცავდა. ისტორიული საწყისები, როგორც მოცემულობა და ამის გარდა, მისი გადახალისება თუ სხვანაირად "თარგმნა"-გააზრება კარგი გზამკვლევი გახლდათ მსმენელისთვის.

ილიას უნივერსიტეტის ასოცირებულმა პროფესორმა (რომელიც პარალელურად ბერლინში მოღვაწეობს) მოხსენება "პაგანუსის" (წარმართი) კლასიფიკაციით დაიწყო და თავიდანვე ცხადი გახდა ერთგვარი კავშირი წარმართსა და არაქალაქელს შორის, რადგან პროვინციალიზმის მოვლენა თავისთავად გულისხმობს ქალაქის ჰეტეროგენული მოსახლეობის მიერ სოფლის ჰომოგენური მოსახლეობის აღქმას, როგორც დაბალგანვითარებული ფენისა. ამ ფენას აქვს საკუთარი ტრადიციები, ჰყავს საკუთარი ღმერთები, არ ახდენს საკუთარი თავის იდენტიფიკაციას ქალაქურ მოსახლეობასთან, ერთი სიტყვით, სხვა ენაზე საუბრობს: "თუმცა, პროვინციალიზმს აქვს პოზიტიური მნიშვნელობაც: მაგალითად, ჰაიდეგერი პრინციპულად ამბობდა უარს დიდ ქალაქში ცხოვრებაზე, რადგან ძირი, ფესვები, მისი აზრით, სწორედ სოფლადაა," - ამბობს გიორგი. გამოდის, სოფლის ხედვის რადიუსი შეზღუდულია, შესაბამისად, მხოლოდ მრავალკულტურულ და მრავალეთნიკურ ქალაქშია შესაძლებელი კოსმოპოლიტიზმის გაჩენა, საზღვრების რღვევა.

საუბარი ქრისტიანობის პაგანიზაციაზე, კარნავალური კულტურის გაგებაზე, როგორც დაბალი ფენების შესაძლებლობაზე, გაარღვიონ მმართველი კლასის ტაბუ, ინკვიზიციის ცეცხლსა და მახვილზე, ხალხური კულტურის სტილიზაციაზე, მემარჯვენე რადიკალიზმის სისხლსა და მიწაზე და მემარცხენეების პროლეტარიატის უსამშობლობაზე, ქრისტეზე, როგორც სისხლით ნათესაური კავშირის პირველ დამანგრეველზე, გრამშის კულტურულ მარქსიზმსა და ნიკო მარის მეტათეორიაზე პროლეტარიატის კულტურული რეპრეზენტაციის შესახებ გახლდათ არა მხოლოდ ისტორიული სარჩული, არამედ ისტორიის საინტერესო, სოციალურ-კულტურული რეპრეზენტაცია.

ქართული კულტურული პრეზენტაცია კი შეიცავს გადაულახავ შიშს, ფობიას, რომ ჩვენ "გენეტიკურად ქართველებს" ტრადიციებს გვილახავენ და "უცხოები გვრყვნიან." ეს უკვე პროვინციალური შიშია და თუ "გამოსავალზე" შეიძლებოდა ფიქრი, პირველი ნაბიჯი ამ მიმართულებით ლოკალურობისა და "ჩვენი დონისათვის" განკუთვნილობის ცნობიერებაზე უარის თქმით, მასთან რადიკალური გამიჯვნითაც კი უნდა გადაიდგას. თანამედროვე საქართველოს კულტურა არათუ მუზეუმი, არამედ მავზოლეუმია, რომლის ერთადერთი ფუნქციაც დაბალსამებული მკვდრების თაყვანისცემაა მათ წაუკითხავად და გაუაზრებლად," - ეს გიორგი მაისურაძის ერთი პოსტის ამონარიდია და, რადგან მოხსენება არ არის ერთი დღის ნაფიქრი და ერთ საათში მომზადებული, დაახლოებით მსგავსი შინაარსის წინადადებებმა ლექციაზეც გაიჟღერა.

"ამაზე დიდი ხანია ვფიქრობ, მაქვს პატარა-პატარა ესეები და სამომავლოდაც ვაპირებ მსგავს საკითხებზე მეტ მუშაობას," - აღნიშნავს გიორგი.

მიუხედავად იმისა, რომ გიორგის ხანდახან "ადამიანური ღირებულების მაგინებელ ეპატაჟისტს" უწოდებენ ხოლმე (მაგ. "საქართველოს რესპუბლიკა" და მისთანანი) და მაგალითად მოჰყავთ ამონარიდები მისი ესეებიდან, ბრალმდებლებს ან არაფერი ესმით წაკითხულის, ან, უბრალოდ, ისევ პროვინციალიზმთან გვაქვს საქმე. პროვინციალიზმი კი სულიერი მდგომარეობაც რომ არის, ლექციაზე უკვე ითქვა და არც ახალი ამბავია. ქართველისთვის, რომელიც დღედაღამ გულზე მჯიღის ცემის გარდა არაფერს აკეთებს, ალბათ, ტრაგედიაა მსგავსი სიტყვები: ".....თუმცა სწორედ ამგვარი აზროვნებაა ანტიდასავლური და თავისი არსით ყველაზე მეტად რუსულ-საბჭოთა ტრადიციების ერთგული, რომელიც ორი საუკუნის მანძილზე ქართულ თვითაღქმას "მზიური საქართველოს" ილუზიებით ანებივრებდა. რუსეთისგან პოლიტიკური დამოუკიდებლობით კი საქართველო სწორედ ამ ილუზიას კარგავს და უცენტრო პროვინციად გადაიქცევა. პროვინცია ამ შემთხვევაში არა გეოგრაფიული შინაარსის ტერმინია, არამედ შეუსაბამობის, არაადეკვატურობის, უკონტექსტობის აღმნიშვნელი, რომელიც ემოციებს სრულიად უფუნქციო და აბსურდულობამდე გადაჭარბებული პათეტიკით გამოხატავს. ასეთი პროვინციული უკონტექსტობის საუკეთესო მაგალითად გამოდგება "საქართველო გაბრწყინდება", რომელიც სხვა არაფერია, გარდა "მზიური საქართველოს" გაეზოთერულებული და კონტექსტდაკარგული ვარიანტისა" - "დაკარგული კონტექსტი ანუ "ამ სიძულვილში რაოდენი სიყვარულია" ერთ-ერთია იმ ესეებს შორის, რომელიც წიგნად შედგა. "დაკარგული კონტექსტები" - ასე ჰქვია წიგნს, რომლის პრეზენტაციაც რამდენიმე თვის წინ, 25 ივნისს მაღაზია "სანტა ესპერანსაში" შედგა და რომელიც სხვა არაფერია, თუ არა ფილოსოფიური სატირა.

სალექციო კურსი მხოლოდ პროვინციალიზმის მიმოხილვით არ ამოიწურება - როგორც ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორი გიორგი კეკელიძე ამბობს, თავად პროექტი ერთჯერადი არ გახლავთ:

"იდეა დავით თინიკაშვილს ეკუთვნის. მომხსენებლები შეირჩნენ იმის მიხედვით, თუ რამდენად აქტიურობდნენ და რამდენად ხშირად კითხულობდნენ ლექციებს. თუმცა ეს არ არის საბოლოო სია, ჩვენი გვინდა, რომ ლექციები ჩატარდეს ყოველ კვარტალში და შემდეგ ჯერზე უკვე სხვა ადამიანები მიიღებენ მონაწილეობას. შეიკრიბა ძალიან საინტერესო ხალხი, ხალხი, რომელსაც ახალგაზრდა თაობასთან საუბარი შეუძლია." მან ლექციის დასაწყისშივე აქცენტი გააკეთა ბიბლიოთეკის მზაობაზე, გახდეს საჯარო სივრცე და უმასპინძლოს სხვადასხვა საინტერესო პროექტსა და ინიციატივას.

ბიბლიოთეკა რომ მხოლოდ წიგნთსაცავი არ არის, ამაში უკეთ დარწმუნდებით, თუ საბიბლიოთეკა ცხოვრების "ქრონიკებს" გადახედავთ და ეს ცხოვრება ბოლო რამდენიმე თვეა ძალიან აქტიურია. თავად სალექციო გეგმა არ მიჰყვება ერთ კონკრეტულ ხაზს, თემები მრავალფეროვანია, თუმცა მაინც იგრძნობა რელიგიური საკითხების ინტერპრეტაციის მცდელობა. 13 თემა და 13 მომხსენებელი (მაინცდამაინც რელიგიურ კონტექსტს ნუ მოუძებნით) 26 დეკემბრის ჩათვლით, ყოველ ოთხშაბათს, 6 საათზე აქტუალურ თემებზე გესაუბრებათ.

მაიკლ ჯორდანი: "ყოველთვის სხვებზე მეტად გამაკრიტიკებენ"

პირველი გვერდიდან



თქვენ როგორი ქცევის სტილი გაქვთ არჩეული?

- კიუბანის სტილი ჩემთვის უფრო ახლოა. ძალიან ემოციური ვარ და მატჩისას არბიტრს ვუყვირი ხოლმე. ერთი ორჯერ ამის გამო ტექნიკური შენიშვნაც კი მივიღე.

- "ბობკეტსის" ყოფილი მწვრთნელი ლარი ბრაუნი უკმაყოფილო იყო თქვენი მმართველობის სტილით. იგი ამბობდა, რომ თქვენ თანაშემწეებს და მწვრთნელებს ყურს არ უგდებთ.

- ეს სრული სიცრუეა. კლუბის ვიცე-პრეზიდენტი კეტრის პოლკი ჩემთან ერთად თითქმის 20 წელია მუშაობს. მას არასდროს შექმნია ჩემთან პრობლემა და მისგან "არა" ხშირად მომისმენია. იგივე შემიძლია ვთქვა კლუბის მმართველობის დანარჩენ წევრებზეც. ჩვენი ურთიერთობა პირდაპირობაზე და გულწრფელობაზეა აწყობილი.

- "ბობკეტსს", არც დრაფტის ლატარეაზე გაუმართლა. პირველი ნომერი თქვენ კი არა, "ნიუ ორლეანს" ხვდა წილად. ამან იმედი გაგიცრუვათ?

- ჩვენ თავიდანვე ვიცოდით, რომ ეს სეზონი ჩვენთვის ნამდვილი გამოცდა იქნებოდა. სწორედ ამ სეზონით უნდა გაგვეგო რა შეგვიძლია, თუმცა არ გეგონოთ, რომ დრაფტის პირველი ნომრის მოპოვების მიზნით თამაშებს სპეციალურად ვაგებდით. ასეთ რამეს არ დავუშვებდი. მას შემდეგ, რაც "შარლოტის" მფლობელი გავხდი, არაერთი მძიმე გადაწყვეტილება მაქვს მიღებული. გასული წლების განმავლობაში დრაფტზე გაძლიერება არაერთხელ შეგვეძლო, ამჯერად კი სხვაგვარად გამოვიდა. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მომხდარი გუნდის პოლიტიკაზე მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს.

- "უიზარდსში" მუშაობის გამოცდილება "შარლოტში" თუ გეხმარებათ?

- როდესაც "ვაშინგტონი" დავტოვე ბევრმა ჩემი მოღვაწეობა ამ კლუბში ჩაგდებულად შეაფასა. მე ასე არ ვფიქრობ. შეცდომები მფლობელისა და მენეჯერის მუშაობის განუყოფელი ნაწილია. ვიცი, რომ "ვაშინგტონში" ჩემი მუშაობის მთავარ შეცდომად დრაფტზე კუომი ბრაუნის აყვანას ასახელებენ. ჩვენ, რომ იგი პირველ ნომრად არ აგვერჩია, ვიღაცა მეორე ნომრად აიყვანდა, რატომღაც არავინ იხსენებს იმ ფაქტს, რომ სწორედ ჩემი დახმარებით შევძელით კარგი ფინანსური პირობების შექმნა და მოვახერხეთ გილბერტ არენასის, ანტუან ჯემისონის და კერონ ბატლერის შეძენა, რომელთა დახმარებით ეს გუნდი ფლეი ოფში გავიდა.

- მეჯიკ ჯონსონი და ჩარლზ ბარკლი ხშირად ამბობენ, რომ კარიერის დასრულების შემდეგ ისეთი საქმიანობა მონახეს, რომ თავს კალათბურთიდან წასულად არ მიიჩნევენ. მოგეხსენებათ, ორივე ტელევიზიაში მუშაობს. თქვენ, თუ შეგიძლიათ იგივეს თქმა?

- კალათბურთის თამაშს ვერაფერი შეგიცვლის. თუ ისინი ამბობენ, რომ კალათბურთელის პროფესიის რაიმე ექვივალენტი მონახეს, ეს მათი საქმეა, მე ამას ვერასდროს ვიტყვი. შეჯიბრებითობის პრინციპი, თამაშის სიყვარული, ყოველივე ეს არასდროს მომცემს იმის საშუალებას, რომ რაიმე ამდაგვარი კიდევ მოვნახო. გოლფისადმი სიყვარული რაღაც ამასთან მიახლოვებული იყო, თუმცა კალათბურთს მაინც ვერაფერი, ვერასდროს ვერ შემიცვლის. ვღელავ, თუ არა ამის გამო? არა ამ აზრს უკვე შევეგუე.

- ახლა სხვა თაობის კალათბურთელების თამაშს უყურებთ. შეგიძლიათ, თუ არა საკუთარი თავი მათთან ერთად წარმოიდგინოთ?

- ვფიქრობ, ყველა ყოფილი კალათბურთელი აკეთებს ამას. პირველობის თანდაყოლილი სურვილი იმდენად დიდია, რომ მას ვერსად გაექცევი. ვცდილობ, რაც შეიძლება მეტ თამაშს ვუყურო. მუდმივად ვაანალიზებ ვითარებას და ვფიქრობ, თუ როგორ მოვიქცეოდი ამა თუ იმ ვითარებაში. ჩემთვის აღვნიშნავ, თუ რა შეუძლიათ და რა არა თანამედროვე კალათბურთელებს. ცუდად ნუ გამიგებთ და ჩემი თამაშით მე მეჯიკ ჯონსონს და ჯულიუს ირვინგს ვაიძულებდი უფრო მაღალ დონეზე ეთამაშათ. ისევე, როგორც თავის დროზე ისინი აკეთებდნენ ამას. ყოველთვის არსებობენ კალათბურთელები, რომლებიც როგორც ლოკომოტივი წინ ექაჩებიან დანარჩენებს. სხვები კი იძულებული არიან მათზე აიღონ ორიენტირი.

- დღეს, თუ არსებობენ ასეთი კალათბურთელები?

- ასაკისა და ოსტატობის თანხვედრიდან გამომდინარე კალათბურთის მომავლად კარმელო ენტონი, ლებრონ ჯეიმსი და დუეინ უეიდი უნდა დავასახელოთ, თუმცა კალათბურთელი, რომელიც ყველას წინ მიექაჩება კობი ბრაიანტია. მომწონს, თუ როგორ არის კონცენტრირებული იგი თამაშზე და ცდილობს ყოველდღიურად დახვეწოს საკუთარი ოსტატობა.

- გასულ სეზონში ლებრონ ჯეიმსმა ჩემპიონის ტიტული მოიგო. მიგაჩნიათ თუ არა, რომ ამის შემდეგ მისი თამაში შეიცვლება?

- პირველი ტიტული ყველაზე რთულია. როდესაც პირველს იგებ კიდევ უფრო დიდი მოლოდინი ჩნდება. ვფიქრობ, თუ რაიმე მწვერვალს მიაღწიე, შემდეგ, არც ერთი საფეხურით ქვევით აღარ უნდა ჩახვიდე. გამოუვა, თუ არა ეს ლებრონს, არ ვიცი. თუმცა მას ყოველივე კარგს ვუსურვებ. საბოლოო ჯამში, მხოლოდ შენზეა დამოკიდებული, თუ როგორ დაგიმახსოვრებს გულშემატკივარი. მე ექვსჯერ მაქვს ჩემპიონის ტიტული მოგებული და ამ ექვს ბეჭედს ვერავინ წამართმევს, ეს ჩემს კარიერას სრულყოფილს ხდის. ისინი, ვისაც ჩემპიონობა არასდროს მოუგიათ ამბობენ, რომ ტიტულს მნიშვნელობა არ აქვს. მიმაჩნია, რომ ეს თვალთმაქცობაა. აი ჰკითხეთ ბარკლის და იცით რას გიპასუხებთ? იტყვის, რომ იდეალური კარიერა ჰქონდა მიუხედავად იმისა, რომ ჩემპიონი ვერ გახდა. არადა, ჩემპიონი ჩემს გამო ვერ გახდა.

სიმბოლურში "ბატეს" ორი ფეხბურთელი მოხვდა

ალექსანდრ პავლოვს "ბაიერნის" კარში პირველი გოლი გააქვს

დასრულდა ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის მეორე ტური. ჯერ-ჯერობით მთავარ თემად ბელორუსული კლუბი "ბატე" უნდა მივიჩნიოთ, რომელსაც ორი ტურის შემდეგ ასპროცენტიანი მაჩვენებელი აქვს. ბორისოვოს გუნდმა პირველ ტურში ფრანგული "ლილი" დაამარცხა, მეორეში კი სიურპრიზები გააგრძელა და ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე გათამაშების ერთ-ერთი ფავორიტი მიუნხენის "ბაიერნიც" დადო ბეჭებზე. ალბათ, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ჩემპიონთა ლიგის მეორე ტურის სიმბოლურში "ბატეს" ორი ფეხბურთელია, მიუნხენური გუნდი კი ამ ნაკრებში საერთოდ არ გახლავთ წარმოდგენილი.

მეკარე

კრისტიან აბიატი ("მილანი")

35 წლის კიპერის "სეივების" გარეშე "მილანი" სანკტ პეტერბურგში "პეტროვსკის" არენაზე თამაშს ნამდვილად ვერ მოიგებდა. მიუხედავად იმისა, რომ ამ მატჩში აბიატიმ ორი გოლი გაუშვა, იგი მაინც თამაშის გმირად იქცა. მისი "სეივები" ანიუკოვისა და ჰალკის დარტყმების შემდეგ კი მიმდინარე ჩემპიონთა ლიგის საუკეთესო "სეივების" ათეულში ნამდვილად მოხვდება.

მცველები

ემილიო ისაგირე ("სელტიკი")

მას შემდეგ, რაც "სპარტაკთან" თამაშში "სელტიკმა" რიცხობრივი უპირატესობა მიიღო, შოტლანდიური გუნდის მარცხენა მცველი სულ უფრო მეტ დროს უთმობდა შეტევას. საბოლოო ჯამში, სწორედ ჰონდურასელი ფეხბურთელის მიერ გაკეთებული გამოზომილი ჩაწოდების შემდეგ გავიდა გადამწყვეტი გოლი მოსკოვური გუნდის კარში. ისაგირეს ოსტატური ჩაწოდების შემდეგ სამარასმა მარტივად გადაგზავნა თავური დარტყმით ბურთი «სპარტაკელთა» კარში.

დავიდ ლუისი ("ჩელსი")

"ჩელსის" ცენტრალური მცველი "ნორდსიელანდთან" მატჩში დაცვით ფუნქციებს იდეალურად ასრულებდა, თუმცა მოდით ვაღიაროთ, რომ ლონდონური კლუბის ბრაზილიელ მცველს ასეთი დონის მეტოქესთან შეცდომები არ უნდა ჰქონოდა. დავიდ ლუისის დამსახურება უფრო შეტევაში ჩართვებია. სწორედ ბრაზილიელმა შეძლო ლამაზი დარტყმით საჯარიმოდან იმ გოლის გატანა, რომელმაც საბოლოოდ მოხსნა ყველა კითხვა ამ თამაშში გამარჯვებულის თაობაზე.

კარლეს პუიოლი ("ბარსელონა")

"ბარსას" კაპიტანმა, როგორც იქნა მოიშუშა ტრავმა და "ბენფიკასთან" მატჩში თავის გუნდს დაუბრუნდა. თამაშის განმავლობაში კარლესი იდეალურად თამაშობდა დაცვაში და პორტუგალიელებს საკუთარ კართან მიახლოვების შანსი არ მისცა. სამწუხაროდ თამაში კარლესისთვის ცუდად დასრულდა. პუიოლმა მორიგი ტრავმა მიიღო და ახლა უცნობია კიდევ რამდენ ხანს ვერ შეძლებს თამაშს.

ლუკაშ პიშჩეკი ("დორტმუნდი")

"სიტის" სიძლიერიდან გამომდინარე "ბორუსიას" მარჯვენა მცველი ჩვეულზე ნაკლებად ეხმარებოდა შემტევ ფეხბურთელებს. სამაგიეროდ, პოლონელმა იდეალურად გაართვა თავი უშუალო ფუნქციებს. პიშჩეკის ფლანგზე "სიტის" შემტევი თამაში საერთოდ არ გამოუვიდა.

ნახევარმცველები

ელიზეუ ("მალაგა")

"ანდერლეხტთან" მატჩში "მალაგამ" ისე ითამაშა, როგორც "ბარსელონა" თავისი მეტოქეების წინააღმდეგ. "მალაგას" ბურთის ფლობის პროცენტი 76 გახლდათ. რაღა თქმა უნდა, ეს ესპანური გუნდის ნახევარდაცვის ლიდერის ელიზეუს დამსახურებაა. გარდა იმისა, რომ პორტუგალიელმა თავისი გუნდის თამაში დაალაგა, მან მეტოქის კარში ორი ულამაზესი გოლიც გაიტანა.

რომან შიროკოვი ("ზენიტი)

სიმბოლურ ნაკრებში ერთადერთი ფეხბურთელი წაგებული გუნდიდან. თუმცა ამ ნაკრებში მოხვედრას იგი ნამდვილად იმსახურებს. სწორედ მისი გააზრებული გადაცემების შემდეგ იქმნებოდა სახიფათო მომენტები "მილანის" კართან და შიროკოვი ნამდვილად არ არის დამნაშავე იმაში, რომ მისმა პარტნიორებმა აბიატის ორზე მეტი გოლი ვერ გაუტანეს. იტალიური გუნდის კიპერი იმ საღამოს იდეალურ ფეხბურთს აჩვენებდა.

ალექსანდრ პავლოვი ("ბატე")

"ბატესთვის" ისტორიულ მატჩში ბორისოველთა ჰავმა უდიდესი სამუშაო გასწია. საგოლე ალღო კი მას დაეხმარა საჭირო დროს საჭირო ადგილას ყოფილიყო და მიუნხენის "ბაიერნის" კარში პირველი გოლი გაეტანა.

თავდამსხმელები

რობინ ვან პერსი ("მანჩესტერი")

მრისხანე "მანჩესტერისთვის" მოკრძალებულ "კლუჟთან" თამაში, არც ისე იოლი გამოდგა. ვინ იცის, რა დღეში ჩავარდებოდა ფავორიტი, რომ არა რობინ ვან პერსი. ჯერ ჰოლანდიელმა რუნის გადაცემის შემდეგ ურთულესი მდგომარეობიდან შეძლო მეტოქის კარის დალაშქვრა, შესვენების შემდეგ კი ამ წყვილმა კიდევ ერთი გოლი გამოაცხო.

კრიშტიანუ რონალდუ ("რეალი")

არც ისე დიდი ხნის წინათ რონალდუმ განაცხადა, რომ "რეალში" უკმაყოფილოა, ახლა კი რამდენიმე დღეში ზედიზედ მეორე ჰეთ თრიკი მიითვალა. როგორც ჩანს, პორტუგალიელის უკმაყოფილება ისტორიას ჩაბარდა და კრიშტიანუ ჩვეულ დონეზე ათამაშდა, რაც "რეალს" "კლასიკოს" წინ ძალიან წაადგება.

ვიტალი როდიონოვი ("ბატე")

ტურის მთავარი სენსაციის კიდევ ერთი წარმომადგენელი სიმბოლურ ნაკრებში. ბორისოველთა ფორვარდმა ჩემპიონთა ლიგის ზედიზედ მეორე მატჩში შეძლო თავის გამოჩენა. ორი კვირის წინ, მან "ლილის" კარში გაიტანა გოლი, ახლა კი "ბაიერნიც" დაამწუხრა. თუ 28 წლის ფორვარდმა ასევე გააგრძელა, საეჭვოა იგი ბელორუსის ჩემპიონატში კიდევ დიდხანს გააჩერონ.

ძვირფასო მკითხველო

7 წლის ლუკა წულეისკირს, რომელიც დაავადებულია- **მწვავე ლიმფოიდური ლეიკემიით** და ამჟამად გადის მკურნალობას ინტენსიური ქიმიოთერაპიის კურსით გერმანიაში, ქალაქ ფრაიბურგის საუნივერსიტეტო ბავშვთა კლინიკაში აუცილებლად ესაჭიროება **ძვლის ტვინის ღეროვანი უჯრედების გადანერგვის გადაუდებელი ოპერაცია.**

გთხოვთ, გულთან ახლოს მიიტანოთ პატარა ლუკას მდგომარეობა, გამოიჩინოთ გულისხმიერება და შესაძლებლობის ფარგლებში, **ნებისმიერი ოდენობის** (მცირეოდენი) შენატანებით დაგვეხმაროთ ოპერაციისთვის საჭირო თანხების შეგროვებაში.

საბანკო რეკვიზიტები:
ბანკის კოდი: **KSBGGE22**
ბანკის დასახელება: **კორ-სტანდარტ ბანკი**
ანგარიში: **GE19KS0000000360800511**
მიმღები: **ა(ა)იპ ლუკა წულეისკირის დახმარების ფონდი**

ასევე შესაძლებელია ჩარიცხვა განხორციელდეს ნებისმიერი მობილური ოპერატორის მეშვეობით (1 ზარის ღირებულებაა 1 ლარი) შემდეგ ნომერზე:

0 901 500 552

წინასწარ გიხდით დიდ მადლობას თქვენი თანადგომისა და დახმარებისთვის.

ვალუტის კურსი

AED	10 არაბეთის საამიროების დირჰამი	4.5056
AMD	1000 სომხური დრამი	4.0685
AUD	1 ავსტრალიური დოლარი	1.7150
AZN	1 აზერბაიჯანული მანათი	2.1072
BGN	1 ბულგარული ლევი	1.0942
BRL	1 ბრაზილიური რიალი	0.8153
BYR	10000 ბელორუსული რუბლი	1.9491
CAD	1 კანადური დოლარი	1.6872
CHF	1 შვეიცარიული ფრანკი	1.7606
CNY	10 ჩინური იუანი	2.6260
CZK	10 ჩეხური კრონა	0.8526
DKK	10 დანიური კრონი	2.8539
EGP	10 ეგვიპტური გირვანქა	2.7168
EUR	1 ევრო	2.1277
GBP	1 ინგლისური გირვანქა	2.6786
HKD	10 ჰონკონგური დოლარი	2.1342
HUF	100 უნგრული ფორინტი	0.7464
ILS	10 ისრაელის შეკელი	4.2391
INR	100 ინდური რუპია	3.0902
IRR	10000 ირანული რიალი	1.3542
ISK	100 ისლანდიური კრონი	1.3299
JPY	100 იაპონური იენი	2.1303
KGS	100 ყირგიზული სომი	3.5226
KWD	1 ქუვეითური დინარი	5.8911
KZT	100 ყაზახური ტენგე	1.1031
LTL	10 ლიტვური ლიტი	6.1675
LVL	1 ლატვიური ლატი	3.0308
MDL	10 მოლდავური ლეი	1.3371
NOK	10 ნორვეგიული კრონი	2.8788
NZD	1 ახალზელანდიური დოლარი	1.3593
PLN	10 პოლონური ზლოტი	5.1399
RON	10 რუმინული ლეი	4.7117
RSD	100 სერბიული დინარი	1.8520
RUB	100 რუსული რუბლი	5.3001
SEK	10 შვედური კრონი	2.5056
SGD	1 სინგაპურული დოლარი	1.3437
TJS	10 ტაჯიკური სომონი	3.4730
TMT	10 თურქმენული მანათი	5.8063
TRY	1 თურქული ლირა	0.9225
UAH	10 უკრაინული გრივნა	2.0703
USD	1 აშშ დოლარი	1.6548
UZS	1000 უზბეკური სუმი	0.8536
ZAR	10 სამხრეთაფრიკული რანდი	2.0140
KRW	1000 სამხრეთ კორეული ვონი	1.4764
QAR	10 ყატარული რიალი	4.5454

სასაქონლო ბირჟა

ნავთობი	3.13	+0.03	+0.90%
გაზი	3.23	+0.02	+0.59%
ოქრო	1,768.80	+15.20	+0.86%
ხორბალი	865.25	-4.00	-0.46%
S&P/TSX Composite Index	12,286.00	+53.18	+0.43%
Nasdaq Composite Index	3,109.73	+16.03	+0.52%
Dow Jones Industrial Average	13,437.20	+23.69	+0.18%

აფიშა

კინო

დრედი 3D
რეჟისორი: პიტ ტრევისი
როლებში: კარლ ურბანი, ოლივია ტირლბი, ლინა ჰიდი, ვუდ ჰარისი, რეიჩლ ვუდი, ჯეისონ კოუპი
ჟანრი: მძაფრსიუჟეტიანი
რუსთაველი: 12:15,14:15; 16:15, 18:15, 20:15, 22:30
ამირანი: 12:15,14:15; 16:15, 18:15, 20:15, 22:15

ბოროტების სავანე 3D
რეჟისორი: პოლ ანდერსონი/როლებში: მილა იოვოვიჩი, მიშეელ როდრიგესი, სიენა გილორი, კოლინ სელმონი, კევინ დურანდი
ჟანრი: მძაფრსიუჟეტიანი საშინელებათა
რუსთაველი: 16.00; 18.00;20.00; 22.30
ამირანი: 20.15; 22.30

დიდი გამყინვარება 4 - 3D/ურეჟისორი: სტივ მარტინო, მაიკ ტურმეიერი/როლებში: რეი რომანო, დენის ლირი, ჯონ ლეგუიზამო, კუინ ლატიფა, ჯოშ პეკი, კეკე პალმერი/ჟანრი: ანიმაცია სათავგადასავლო კომედია
რუსთაველი : 12.15; 14,15; 16.15;20.15; 22.15
ამირანი: 14.00, 16.00; 18.15

100 000 წამი/ურეჟისორი: არა ერნჯაკიანიანი
როლებში: დავით ქაცარავა, ლუიზა მერსისიანი
ჟანრი: მელოდრამა
რუსთაველი: 14.00, 16.00; 18.00;20.00; 22.00

მამაცი გულით 3D
რეჟისორი: მარკ ენდრიუსი
როლებში: კელი მაკდონალდი, ბილი კონოლი, ემა ტომპსონი, ჯული ვოლტერსი
ჟანრი: მძაფრსიუჟეტიანი სათავგადასავლო ანიმაცია
რუსთაველი: 12,00; 14.00

თეატრი

თავისუფალი თეატრი

რვა მოსიყვარულე ქალი
რეჟისორი: მაია ჩართოლანი
დასაწყისი: 19:00

გამოფენები

ლადო ბეროზას პერსონალური გამოფენა "BLACKOUT"
21 სექტემბერი - 12 ოქტომბერი/უშ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი
გუდიაშვილის ქ. 1,

"80-იანი წლების დასასრულის და 90-იანი წლების დასაწყისის ქართული ხელოვნება"
26 სექტემბერი - 20 ნოემბერი
ეროვნული გალერეა
რუსთაველის გამზ. 11.

"აღმოსავლური კოლექციების ახალი სიცოცხლე"
სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი
რუსთაველის გამზ. 3.






პოპულარული ამერიკული მულტფილმი
ქალაქი აშშ-ს დასავლეთში
ერთგვარი მწვანილი
ბანანოტის სახელდებული ღირებულება
გერმანელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი
კვერნების ოჯახის მტაცებელი ცხოველი
იანვრის ძველქართული სახელწოდება
ქრისტიანთა სალოცავი ტაძარი
ქიმიური ელემენტი
დენის ძალის ერთეული
ქალაქი ისრაელში
მნიშვნა-განმარტება რაიმე ტექსტში
უფერო სითხე ადამიანის ორგანიზმში
რუსული კლასიკური მუსიკის ფუძემდებელი
ქართველი კომპოზიტორი
მხარე გერმანიაში
მტაცებელი ფრინველი
არგონავტების წინამძღოლი
ესპანეთის ყოფილი დიქტატორი
პოლონეთის ხურდა ფული
იტალიელი კინორეჟისორი
ისტორიული მოვლენების ქრონოლოგიური ჩანაწერი
მტაცებელი ცხოველი
სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში
დიპლომატიური წარმომადგენლობა
ქვეითი ჯარისკაცი ძველ თურქეთში
ჯარის მოწინავე პოზიცია
საგნის დაპატარავებული ნიმუში
ზღვაში მცურავი ყინულის მთა
ტროპიკული მცენარე
მსოფლიოს ჩემპიონი ჭადრაკში 1921-27 წლებში
ჭიდაობის ილეთი
მე-19 საუკუნის გერმანელი პოეტი და პუბლიცისტი
მსუბუქი ავტომობილის ძარის ტიპი
ტყვე, რომლისგანაც შეიძლება საჭირო ცნობების მიღება
ლ. ნენოვას და გ. წულაიას ფილმი
დიდი ბრიტანეთის ხურდა ფული
სიმღერა საკრავზე მუსიკალური ბგერის აგდერგების მეთოდი
სასამართლოში შეტანილი განცხადება

№28-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები: ალიკანტე; ტორფი; ესთეტიკა; ტელური; ცოლიკაური; ხლესტაკოვი; სიკოკუ; მალაზონია; უსტარი; მანტუა; მირაბო; ტაბლა; საკურა; იუვენტუსი; ლესბოსი; რევანში; ფეირვერკი; სომი; ბულგაკოვი; ტუფი; ეიფელი; ვირჯინია; ფუძიამა; იმიასი; ფეერო; სტარი; სტატუსი; ხანუმა; ლარი; კარიატიდა; გეოგრაფია; ხაიფა; ლალი; იანვარი.

	4			3		6		
				9	5			8
2	3					4		
8								9
3	9		7				2	
		6	9			1	8	7
		4	2		1			
5								
					7		1	

	2	4	1					
9							6	8
					3			
	6			2				
							1	9
	5			9		7	2	
		6		8		1		
7	9					4		3
			7			5		

					9				1	D			C	3	F
1	6	B	4		D	C			F	7				8	
	0	9	7	6	2					B			1		
				7					3	5					E
D	9	7	E	A			3	8							0
							0	7							
C					F	2	1		6	3	0	4		5	
					7					F	4				
0									2	4	F			D	B
			F		1	A	7	6				8			
9			5		6				D		3			4	
8	1	D	3			9						2	5		
		F	9	E	3	4		A	5						D
6	5			0							1	C	2		3
						6		C	E			0	B		
			1			B	2	3				5			

მიხაელ ბალაკი - ვერცხლის რაინდი

ლევერკუზენის "ბაიერის" ნახევარმცველმა მიხაელ ბალაკმა კარიერის დასრულებაზე განცხადება გააკეთა. ალბათ, ურიგო არ იქნება, თუ რამდენიმე სიტყვით გავიხსენებდით იმ ფეხბურთელის კარიერას, რომელმაც გერმანულ და არა მარტო გერმანულ ფეხბურთში შექმნა ეპოქა.

ბალაკმა საკმაოდ ადრე დაიწყო ვარსკვლავური კარიერა და მას ტრავმები მუდმივად თან სდევდა. ამასთან, მიხაელი საკმაოდ დიდი (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით) ადამიანია და ასაკთან ერთად წონის პრობლემებიც შეექმნა. შეიძლება ითქვას, რომ ბალაკი გადაიწვა და კარიერის დასრულების მიზეზიც ესაა. ზოგიერთ ფეხბურთელზე ამბობენ, რომ ტრავმებმა მას კარიერა ნაადრევად დაასრულებინა. ბალაკმა კი ოდნავ ზედმეტი ითამაშა. თუ სიმართლეს თვალებში შევხედავთ დავინახავთ, რომ თავისი უკანასკნელი სრულყოფილი სეზონი მიხაელმა 2010 წელს ლონდონის "ჩელსიში" გაატარა, სადაც სეზონის განმავლობაში 31 მატჩში მიიღო მონაწილეობა. შემდეგ კი "ჩელსისთან" კონტრაქტი აღარ გააგრძელა და ლევერკუზენში დაბრუნდა, სადაც კარიერის საუკეთესო წლები გაატარა. "ბაიერში" იგი კლუბის სპორტულმა დირექტორმა რუდი ფიოლერმა სიხარულით მიიღო, მაგრამ მიხაელმა ძველი დიდება ვერ დაიბრუნა და აი, კარიერაც დაასრულა.

მიხაელ ბალაკი

რუდი ფიოლერი ვახსენეთ და მისთვის ბალაკი განსაკუთრებული ფეხბურთელია. 2002 წელს ახალგაზრდა მწვრთნელმა, ფიოლერმა გერმანიის ეროვნული ნაკრები მუნდიალის ფინალამდე მიიყვანა. იმ ნაკრების ცენტრალური ფიგურა სწორედ მიხაელ ბალაკი იყო. თუმცა მეორედ ფიოლერისა და ბალაკის თანამშრომლობა წარმატებული უკვე აღარ გამოდგა. მიხაელი კონკურენციას ვეღარ უძლებდა, ცდილობდა ფორმა აეკრიფა, ბევრს ვარჯიშობდა და ტრავმებს იღებდა. საბოლოოდ, ძირითადი შემადგენლობიდან მთლიანად ამოვარდა და სათადარიგოთა სკამზე დამკვიდრდა. დაიწყო უთანხმოებები კლუბის ხელმძღვანელებთან. აშკარა გახდა, რომ "ბაიერში" ბალაკს აღარ დაედგომებოდა და მიხაელმა, ალბათ ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება მიიღო. სხვა კლუბის ძიებას მან საერთოდ კარიერის დასრულება არჩია.

ალბათ, ბევრი "ბაიერს" ბალაკის მშობლიურ კლუბსაც უწოდებს, თუმცა ეს მთლად ასე არაა. მიხაელი ყოფილ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაშია დაბადებული. მისი პირველი კლუბი "კარლ მარქს შტადტი" გახლდათ, რომელსაც მოგვიანებით "ქემნიცი" დაარქვეს. შემდეგ იყო ორწლიანი პერიოდი "კაიზერსლაუტერნში", სადაც მას ოტო რეჰაგელი ავარჯიშებდა. სწორედ "კაიზერიდან" გადავიდა მიხაელი "ბაიერში", სადაც ვარსკვლავის სახელი მოიხვეჭა. ახალგაზრდობის პერიოდში ბალაკს სად არ ათამაშებდნენ. ზოგჯერ დაცვაში, ზოგჯერ ნახევარდაცვაში და შეტევაშიც კი. მხოლოდ "ბაიერში" იპოვა მიხაელმა საკუთარი ადგილი, უფრო სწორად, ეს ადგილი მას კრისტოფ დაუმმა უპოვნა და მიხაელი ნახევარდაცვის ცენტრში დააყენა.

სწორედ "ბაიერში" ჩამოყალიბდა მიხაელი ფეხბურთელად და როგორც გერმანელი ფეხბურთელების უდიდესი ნაწილი უკვე ვარსკვლავის სტატუსით 1999 წელს მიუნხენის "ბაიერნში" გადაბარგდა. "ბაიერის" შემადგენლობაში მიხაელი გერმანიის ჩემპიონი ვერ გახდა და ტიტული "ბაიერნს" დაუთმო. ჩემპიონთა ლიგის ფინალში ზიდანის "რეალთან" დამარცხდა. 2002 წლის მუნდიალის ფინალში ბრაზილიის ნაკრებთან. 2008 წლის ევროპის ჩემპიონატზე კვლავ ვერცხლი მოიგო. ჩემპიონთა ლიგის მოგება ვერც "ბაიერნთან" და "ჩელსისთან" ერთად მოახერხა.

რაღაცით ბალაკმა თავის დროს გაუსწრო. რაღაცით კი ჩამორჩა. ახლა გვეჩვენება, რომ მიხაელი 21-ე საუკუნისთვის მოძველებულ ფეხბურთს თამაშობდა, მაგრამ ასევე თამაშობდნენ მისი თანაგუნდელები ფრენკ ლამპარდი, ჯონ ტერი და დიდიე დროგბა, რომლებმაც ოცნება სიბერეში აისრულეს. ბალაკი კი ჩემპიონთა ლიგის ფინალზე იჯდა "ალიანც არენის" ტრიბუნებზე და თავისი ორი ყოფილი გუნდის დაპირისპირებას ადევნებდა თვალყურს. თამაში უკვე მის გარეშე მიმდინარეობდა. იგი წავიდა, თუმცა წესით აუცილებლად უნდა დაბრუნდეს. შესაძლოა მწვრთნელის ან მენეჯერის რანგში. იგი საკმაოდ ჭკვიანი ფეხბურთელი იყო და წესით მწვრთნელობას მოახერხებს.

"წითელი ბარონი" მეორედ მიდის

გიგა გურასაშვილი

სამეფო რბოლათა მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი მიხაელ შუმახერი მიმდინარე სეზონის დასრულების შემდეგ კარიერას ფინიშამდე მიიყვანს. არადა ეს უკვე მეორედაა, როდესაც "წითელი ბარონი" ტოვებს ფორმულა 1-ს.

შუმახერს ინდიანაპოლისის ტრასაზე 1938 წლის "მაზერატის" ბოლიდითაც შეუქცევია თავი

2006 წელს მსოფლიო ჩემპიონობის მეშვიდედ მოპოვების შემდეგ, შუმახერმა ბოლიდის მართვაზე თქვა უარი, მაგრამ სამეფო რბოლებიდან ბოლომდეც არ წასულა - "ფერარის" საჯინიბოში დარჩა ექსპერტისა და მრჩევლის სტატუსით. შიგადაშიგ ბოლიდის ტესტირებებსაც ითავსებდა. ამასთან ხშირად მონაწილეობდა ნაირგვარ ავტო თუ მოტო რბოლებშიც, მაგრამ დიდხანსაც ვერ გაძლო და... 2009 წლის 29 ივლისს "ფერარიმ" შუმახერის სამეფო რბოლებში დაბრუნება ამცნო ავტო სპორტის სამყაროს. ეგაა, მოტორბოლაში ავარიისას დაშავებული კისრის გამო შუმიმ სეზონი ჩააგდო. მოგვიანებით ცხადი გახდა ისიც, რომ სკუდერიაში მისი ყოფნა აღარ შეიძლებოდა.

"წითელი ბარონი" ტრასას "მერსედესის" საჭით დაუბრუნდა, რომელთანაც სამწლიანი ხელშეკრულება გააფორმა იმავე წლის დეკემბერში.

განახლებული კარიერა მისთვის უჩვეულოდ წარიმართა. ტიტულოვანი გერმანელი ოდინდელი შედეგებისგან ძალიან შორს აღმოჩნდა. მეტიც, განახლებული სეზონი მისთვის კრახით დასრულდა: ერთხელაც ვერ გაიკაფა გზა კვარცხლბეკამდე და სეზონი მეცხრე ადგილზე დაასრულა. თუმცაღა ბევრნი მიხაელს ამართლებდა აქაოდა საკადრისი მანქანა არ ჰყავდა და სტიუარდებმაც რამდენიმეჯერ შეუშალეს ხელიო.

კარიერის დასრულების შემდეგ მიხაელმა კვარცხლბეკზე ასვლა მოახერხა 2012 წლის ივნისში - ესპანეთში, ევროპის დიდ პრიზზე მესამე ადგილი დაიკავა. აშკარა იყო, გამარჯვებებს მიჩვეულ გერმანელს მსგავსი შედეგი არ აკმაყოფილებდა.

ერთი სიტყვით იაპონიის დიდი პრიზის წინ, რომელიც ხვალიდან აიღებს სტარტს და კვირას დასრულდება, მოწყობილ საგანგებო პრესკონფერენციაზე 43 წლის შუმახერმა კარიერის დასრულებაზე განაცხადა.

"გადავწყვიტე, რომ სეზონის ბოლოს დავტოვო ფორმულა 1. თუმცაღა დღემდე შემიძლია წინააღმდეგობა გავუწიო მსოფლიოს საუკეთესო მრბოლელებს. ყოველივე სიამაყეს მგვრის. არასდროს მინანია, რომ დავბრუნდი. კმაყოფილი ვარ საკუთარი თავით და იმით, რომ სამი წლის განმავლობაში შეუწყვეტლივ ვვითარდებოდი. და მაინც, როგორც არ უნდა იყოს, წასვლის დრო დადგა.

სამწუხაროდ "მერსედესისგან" ვერ შევქმენით გამარჯვებული, მაგრამ ხანდახან წაგება მოგებაზე უფრო ბევრი რამის მასწავლებელია. 2006 წლის ბოლოს ვაბობდი, რომ ელემენტები დამიჯდა. ეს ელემენტები ახლაც წითელ ნიშნულამდე დაეცა.

მადლობელი ვარ გუნდის, ჩემი ოჯახის და მეგობრების მხარდაჭერისთვის. მქონდა რამდენიმე ვარიანტი კარიერის გასაგრძელებლად და შემეძლო დავრჩენილიყავი კიდეც ამის სურვილი რომ მქონოდა. დღეს ჩემი უმთავრესი საზრუნავი სეზონის დასრულება და დარჩენილი რბოლებისგან სიამოვნების მიღებაა".

ჩვენის მხრივ დავძინოთ, რომ შუმახერისგან მსგავსი გადაწყვეტილების მიღება მოსალოდნელი იყო. პირველ რიგში იმიტომ, რომ "მერსედესი" არ ჩქარობდა შუმისთვის ახალი ხელშეკრულების გაფორმებას. ძველ შეთანხმებას კი ვადა სწორედ სეზონის ბოლოს ეწურება. ამას დავუმატოთ ისიც, რომ გერმანულმა გუნდმა მომავალი სეზონისთვის შუმახერის შემცვლელად "მაკლარენის" ამჟამინდელი მესაჭე ბრიტანელი ლუის ჰამილტონი დაასახელა, რომელთანაც ერთი კვირის წინათ სამწლიანი ხელშეკრულება გააფორმა.

სამხრეთ აფრიკელი მოსწავლეები საქართველოში

თბილისს სამხრეთ აფრიკული სასკოლო რაგბის გუნდი "პიონერები" სტუმრობენ. აფრიკელებმა თბილისში სტუმრობა ყოველგვარი წინასწარი შეთანხმებისა და მოწვევის გარეშე გადაწყვიტეს.

გუნდის ხელმძღვანელობის განცხადებით, საქართველოზე და ქართულ რაგბიზე ბევრი სმენიათ, ჩამოსვლის ერთ-ერთი მიზეზი სწორედ საქართველოს ეროვნული ნაკრების მიერ მიღწეული შედეგებია. "ჩვენთვის დიდი გამოცდილება იქნება საქართველოს ახალგაზრდულ კლუბებთან თამაში და ასევე თქვენი ქვეყნის დათვალიერება" - აცხადებენ სამხრეთ აფრიკელები.

სკოლაში 635 მოსწავლეა, აქედან 284 ბიჭი, რომლებიც 10 სხვადასხვა ასაკობრივ სკოლის სარაგბო გუნდებში ირიცხებიან. "პიონერები" ყოველწლიურად თამაშობენ სამხრეთ აფრიკის სასკოლო ჩემპიონატში და საკმაოდ კარგი მიღწევები აქვთ. გასულ წელს მათ რამდენიმე ჩემპიონატი მოიგეს და დაეუფლნენ სუპერ თასს.

"პიონერებმა" პირველი ამხანაგური მატჩი საქართველოს 17 წლამდელთა ნაკრებთან გამართეს და 27:3 დამარცხდნენ. ასეთი მარცხი გუნდის მთავარმა მწვრთნელმა მომქანცველ ფრენასთან და აკლიმატიზაციასთან დაკავშირებული პრობლემებით ახსნა და დაგვპირდა, რომ მომდევნო მატჩები სულ სხვაგვარად წარიმართება.

rugby.ge

სანიკიძე ამერიკაში ითამაშებს

არ იფიქროთ, რომ იტალიურ "მონტეპასკიში" გადასული ქართველი კალათბურთელი ვიქტორ სანიკიძე კარიერას აშშ-ში აგრძელებს. უბრალოდ, იგი თავის კლუბთან ერთად აშშ-ში იმყოფება, სადაც ევროლიგის მიერ ორგანიზებულ ტურნეში მიიღებს მონაწილეობას. სიენელებთან ერთად აშშ-ს მადრიდის "რეალი" ეწვია და ევროპული გრანდები NBA-ს კლუბებთან ორ-ორ მატჩს გამართავენ.

სანიკიძე და მისი "სიენა" პირველ შეხვედრაში ლიგის ერთ-ერთ უძლიერეს კლუბ "სან ანტონიოს" დაუპირისპირდება. აღსანიშნავია, რომ "სპურზი" ქართველ კალათბურთელზე უფლებებს დღემდე ინარჩუნებს. ეს თამაში 6 ოქტომბერს იმართება, ორი დღის შემდეგ კი "მონტეპასკი" უკვე კლივლენდს ეწვევა და ადგილობრივ "კავალიერსს" დაუპირისპირდება.

თავის მხრივ, "მემფის გრიზლისთან" და "ტორონტო რეპტორზთან" ჭიდილი მოუწევს "რეალს".

აღსანიშნავია, რომ ამავე დღეებში ევროპაში თამაში მოუწევთ ამერიკულ კლუბებს. "ბოსტონ სელტიქსი" 5 ოქტომბერს სტამბულის "ფენერბაჰჩეს" ესტუმრება, ხოლო 7-ში - მილანის "ემპორიო არმანის". რაც შეეხება "მავერიქსს", დალასელები 6 ოქტომბერს ბერლინში "ალბას" ეთამაშებიან, ხოლო 9-ში კატალონიაში, ადგილობრივ "ბარსელონას".

დეშამმა შემადგენლობა დაასახელა

საფრანგეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა დიდიე დეშამმა იმ ფეხბურთელების ვინაობა დაასახელა, რომლებსაც მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის უახლოეს მატჩებში ათამაშებს.

მეკარეები: ლანდრო, ლორისი, მანდანდა

მცველები: კლიში, დებუში, ევრა, ჟალე, კოსელინი, რამი, საჰო, იანგა-მბივა

ნახევარმცველები: კაბაი, კაპუე, დიარა, გონალონი, მატიუდი, სისოკო, ვალბუენა

თავდამსხმელები: ბენზემა, ჟირუ, გომისი, მენეზი, რიბერი

მოურინიომ პსჟ არ გამორიცხა

ჟოზე მოურინიო არ გამორიცხავს, რომ მომავალში ფრანგული პსჟ-ს მწვრთნელი გახდეს. "მისტერ განსაკუთრებული" უკვე ოთხი ქვეყნის ჩემპიონია (პორტუგალია, ინგლისი, იტალია და ესპანეთი) და იგი არ მალავს, რომ ევროპული დიდი ხუთეულის ყველა ტიტულის მოგება მისთვის საკმაო მოტივაციაა.

"ეს იქნებოდა მეხუთე ტიტული. რატომაც არა. პსჟ საკმაოდ საინტერესო პროექტია და მომავალში ამ გუნდში მუშაობას არ გამოვრიცხავ. ჩემთვის ხუთ ქვეყანაში ჩემპიონის ტიტულის მოგება განსაკუთრებული მოტივაციაა. თუმცა, ისიც უნდა ვთქვა, რომ ამჟამად პარიზულ კლუბში ლეონარდო და ანჩელოტი კარგად მუშაობენ და როგორც ვიცი, პსჟ-ს მესვეურები სხვა მწვრთნელს არ ეძებენ", - განაცხადა მოურინიომ.

რაული აიძულეს "რეალი" დაეტოვებინა

"ბარსელონას", მადრიდის "რეალის" და "ინტერის" ექვს ვარსკვლავი ლუიშ ფიგუ აცხადებს, რაული აიძულეს "რეალიდან" წასულიყო.

"ზუსტად ვიცი, რომ რაულს კარიერის დასრულება "სანტიაგო ბერნაბეუზე" სურდა, თუმცა ამის საშუალება არ მისცეს. რაული აიძულეს წასულიყო. იმედია ახლა ყატარში თავს კარგად გრძნობს, - აცხადებს ფიგუ და ამის შემდეგ უკვე "ოქროს ბურთზე" საუბრობს, - მჯერა, რომ ამჯერად "ოქროს ბურთს" რონალდუ მოიგებს. ვინაიდან მან ესპანეთის ჩემპიონატი მოიგო. მესი თუ რონალდუ? ჩემთვის წარმოუდგენელია ამ ორი ფეხბურთელის შედარება".

სტალონე + კლიჩკოები = მიუზიკლ "როკს"

სილვესტერ სტალონე კლიჩკოებმა მოიმწყვდიეს

გერმანული ინტერნეტ გამოცემა Spox.com სპორტის განყოფილებაში აქვეყნებს სილვესტერ სტალონესთან ინტერვიუს. ჰოლივუდის ვარსკვლავთან საუბარი იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ მასში სტალონე უკრაინელ ძმებზე - ვიტალი და ვლადიმერ კლიჩკოებზე და მიუზიკლი "როკზე" საუბრობს. ეს ის დადგმაა, რომლის თანაპროდიუსერებიც სლაისთან ერთად კლიჩკოებიც არიან. ინტერვიუ სექტემბერში გამოქვეყნდა, მაგრამ დღესაც საინტერესოა, რადგან მასში საუბარია უკრაინელი ძმების ბატონობაზე, აშშ-ში მძიმე წონის გასაჭირზე. ასე რომ, მას ჩვენც გთავაზობთ ოდნავ შემოკლებული სახით.

- მიგაჩნიათ, რომ უნდა ვიტალი კლიჩკომ უნდა დაასრულოს კარიერა?

- შეხედეთ და თავად განსაჯეთ. ბრწყინვალე ფორმაშია. ვიტალის იქამდე შეუძლია კრივში ყოფნა, ვიდრე ეს საქმე მას სიამოვნებას ანიჭებს. ამასთან დღეს არავინაა ისეთი, რომელსაც მისი დამარცხება შეუძლია.

- ვლადიმერს რინგზე გასვლა უწევს ნოემბერში მარიუშ ვახთან...

- ვინც არ უნდა იყოს ვლადიმერის მეტოქე, ის წაგებისთვისაა განწირული. ვიტალის არ იყოს, უმცროსი კლიჩკოც შესანიშნავ ფორმაშია და მასაც ისეთი დამოკიდებულება აქვს კრივისადმი, როგორიც ვიტალის. მისი დამარცხებაც შეუძლებელია. მოხარული ვიქნებოდი, რომელიმე კლიჩკოს აშშ-ში რომ ჩაეტარებინა ორთაბრძოლა.

- ამერიკაში აღარ ჩანან კარგი მძიმეწონოსნები. რატომ?

- მძიმე წონა დიდი ხანია დასუსტდა. ახლა ამ წონაში ახლა ნამდვილი გიგანტები გვხვდებიან.

ჯო ფრეზერი 95 კილოგრამს იწონიდა, ჯორჯ ფორმენი - 97, დღევანდელი მძიმეწონოსნები კი 110-120 კილოგრამამდე იწონიან. ამასთან რთულია იპოვო მოკრივე, რომელიც წონისა და ტექნიკის სრულყოფილი კომბინაცია ექნება.

დონ კინგმა და სხვა პრომოუტერებმაც ხელიდან გაუშვეს შესაძლებლობა მოეძიათ ნიჭიერი მძიმეწონოსნები. დიდ ბიჭებს არ სურთ სახეში ურტყან და ამიტომაც სპორტის სხვა სახეობებისკენ მიუწევთ გული. მხოლოდ ტრავმების შემდეგ იწყებენ იმაზე საუბარს, რომ უმჯობესი იქნებოდა, კრივს გაყოლოდნენ. შეუძლებელია კარიერის დაწყება 22-23 წლის ასაკში. ამ შემთხვევაში შეიძლება რინგზე სიცოცხლეს გამოესალმო.

- და ვის შეუძლია კლიჩკოს დამარცხება?

- არავის. მას მხოლოდ დრო თუ მოერევა.

- რის ხარჯზე ბატონობენ ისინი მძიმე წონაში?

- შეხედეთ მათ გაბარიტებს და მიხვდებით. ამასთან, მართლაც კარგ ფორმაში არიან. ამასთან მენტალურადაც ძალზე ძლიერები არიან. ჭკვიანები არიან და ბევრს მუშაობენ. აკონტროლებენ ყველაფერს რინგზე და რინგს მიღმა. ბევრ ამერიკელი ვერ ახერხებს აკონტროლოს კვების რაციონი. არადა, ბრძოლას მხოლოდ რინგზე არ იგებენ. კლიჩკოებმა ამის შესახებ იციან და ამიტომაც არიან მწვერვალზე.

- კლიჩკოები გერმანიაში მიუზიკლ "როკის" პრემიერის მოწყობაში დაგეხმარნენ...

- ისინი ამას დიდი ენთუზიაზმით მოეკიდნენ. ვიტალიმ მითხრა, რომ "როკიმ" მასზე უდიდესი გავლენა მოახდინა. ბავშვობაში ნახა ეს ფილმი და მას შემდეგ გადაწყვიტა, მოკრივე გამხდარიყო.

- როგორ გადაიკვეთა თქვენი გზები?

- მეტად უცნაურად. "როკის" მიუზიკლად გადაკეთებით არავინ ინტერესდებოდა. ერთხელაც ოფისის კარზე ვლადიმერმა დამიკაკუნა და მითხრა, რომ იდეა ჰქონდა. თავიდან ვიფიქრე, რომ რომელიმე ბრძოლის რეკლამაში სურდა ჩემი მიწვევა, მან კი მითხრა: "რატომ არ შეიძლება შევქმნათ მიუზიკლი "როკი?" მე ვუპასუხე: "შენ ხომ მოკრივე ხარ?!" მან კი მიპასუხა: "ძალიან გვინდა ამ მიუზიკლის დადგმა". ჰოდა, მეც დავთანხმდი.

- ყველა დროის საუკეთესო მოკრივეების თქვენეულ რეიტინგში რომელ ადგილზეა კლიჩკო?

- ამაზე პასუხის გაცემა მიჭირს. სასიამოვნოა იმაზე ფიქრი, რომ ადრე ყველაფერი უკეთესი იყო, მაგრამ ეს იმ სიმღერას ჰგავს, რომელიც ახალგაზრდობაში მოგწონდა. როცა მას დღევანდელ ბავშვებს ასმენინებ, აღმოაჩენ, რომ საშინელი სიმღერა ყოფილა...

მსგავსი სიტუაციაა კრივშიც. კლიჩკოები საუკეთესონი არიან თავიანთ ეპოქაში. რომელიმე მათგანი რომ შეხვედროდა მუჰამედ ალის, ვფიქრობ, ძალიან სასტიკი ორთაბრძოლა გაჩაღდებოდა. ასევე მიმაჩნია, რომ ჯო ფრეზერს კლიჩკოს წინააღმდეგ შანსი არ ექნებოდა.

- კლიჩკოებიდან ვის მიიჩნევთ საუკეთესოდ?

- ამ შემთხვევაში სჯობს ჩუმად ვიყო.

უცნობი
გრიგოლ
რობაქიძე

დაგვიკავშირდით:
თბილისი,
ილია ჭავჭავაძის გამზ. N5
ტელ: (+995 32) 2 25 05 22
(+995 32) 2 91 22 83
(+995 32) 2 47 55 54
artanuji@artanuji.ge
www.artanuji.ge

www.artanuji.ge

გამომცემლობა არტანუჯი

პირველად

გრიგოლ რობაქიძის უცნობი
შემოქმედებითი მემკვიდრეობა
ქართულ ენაზე